გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru

№326 (385) 28 ივლისი – 4 აგვისტო 2015 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული ენა — აკაკი შანიძე

## ალექსანდრე ჭაჭია: რა მოხდა? რა მოხდება?

...აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშე საქართველო აღარ არის, ეს სხვა სახელმწიფოა და სხვაგვარად უნდა იწოდებოდეს. როდესაც სააკაშვილი პრეზიდენტად აირჩიეს, საჯაროდ ვურჩიე, არ დავიწყებოდა, რომ ის არა საქართველოს, არამედ მხოლოდ მისი ნაწილის პრეზიდენტად იქნა არჩეული...

გვ.2



## სვეტიცხოვლის ტაძრის „ქვათა ღაღადი“

მირიან მირნელი

გვ.11

## ალექსანდრე ტოლსტოი ჭრიაყურატყურის საყურადღებოდ

გვ.6



*2014 წლის 29 იანვარს ქართული ტელეარხების მიერ გადაცემულ სიუჟეტებში 2009 წლის 5 მაისს დაბა მუხროვანში მომხდარ მოვლენებზე, ალბათ, ყველა მაყურებლისთვის გამაოგნებელი იყო შინაგან საქმეთა იმჟამინდელი მინისტრის სიტყვები: "ორი გვამი მჭირდება. მომიტანეთ ეს ორი გვამი. ვსიო. პრემია დიდია!".*

თუ შს სამინისტროში ასეთი "ინფორმატორების" ინფორმაციის საფუძველზე დგინდებოდა "ჯაშუშების", "მოღალატეების", "შეიარაღებული ამბოხების მონაწილეების" და სხვა "დამნაშავეების" ვინაობა, ამიტომ ხომ არ გაჩნდა ქვეყანაში ათიათასობით უდანაშაულო პატიმარი და პრობაციონერი?!

## "წყალი ჩვენი არსობისა..."



...იბადება იმის სერიოზული ეჭვი, რომ აღნიშნულ საკითხზე არსებობს ჩრდილოვანი დანაშაულებრივი გარიგება აზერბაიჯანისა და საქართველოს დაინტერესებულ წარმომადგენელთა შორის...

გვ.9

## საწვავის ბაზარზე პარტეული გარიგება დადასტურდა!

გვ.5

## გია ჩუთლაშვილი — საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის აქტივისტთა კავშირის მიმართვა ეროვნული სულისკვეთების მატარებელ ბიზნესმენებს!



გვ. 8



## ეს გზა ევროპამდე არ მიგვიყვანს

გვ.11

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა მოხდა? რა მოხდება?

*გამოქვეყნდა 2005 წლის ოქტომბერში*

**– ბატონო ალექსანდრე, საქართველოში „ვარდების რევოლუციისა“ და ხელისუფლების შეცვლის შემდეგ თითქმის ორი წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში თქვენ ძალზე იშვიათად გამოდიოდით პრესაში. მხოლოდ ორი თუ სამი მკვეთრად კრიტიკული სტატია მახსოვს ახალი ხელისუფლების საგარეო პოლიტიკურ კურსსა და საკადრო პოლიტიკასთან დაკავშირებით. რით აიხსნება ასეთი პასიურობა?**

– ყოველთვის იმისი მომხრე ვიყავი, რომ ახალი ხელისუფლებისთვის თავის გამოვლენის შესაძლებლობა მიგვეცა და დანაპირების განხორციელებაში ხელი არ შეგვეშალა. ჩემს სიმპათიას არ იწვევენ ის პოლიტიკური თუ საზოგადო მოღვაწეები, რომლებიც არჩევნების მეორე დღიდან ახალი ხელისუფლების ნებისმიერი ნაბიჯის ულმობელ კრიტიკას იწყებენ მხოლოდ იმ მიზეზით, რომ თვითონ ამ ხელისუფლებაში არ არიან. ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობისთვის მნიშვნელობა არ აქვს, რომელი პარტია და კონკრეტულად ვინ დგას ხელისუფლების სათავეში. მთავარია, საქმე კეთდებოდეს, უმთავრესი ამოცანა გადაიჭრას – საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა და ქართველი ერის არსებობისა და განვითარების გარანტიების უზრუნველყოფა.

**– ორი წელიწადი საკმარისი დროა ხელისუფლების პოლიტიკის შესაფასებლად. როგორ ფიქრობთ, ეს მთავარი ამოცანა გადაიჭრება? რას აღნიშნავდით პოზიტიურსა და ნეგატიურს ხელისუფლების საქმიანობაში?**

– ოპოზიციონერთა უმრავლესობისგან განსხვავებით, ამ საქმიანობაში მთელ რიგ პოზიტიურ მომენტებს ვხედავ. პირველი და მნიშვნელოვანი – შევარდნაძის პოლიტიკიდან ჩამოშორება და იზოლაცია. ყველასთვის ცხადი იყო, რომ არჩევნების გზით შევარდნაძის თავიდან მოცილება შეუძლებელია, საჭიროა სახელმწიფო გადატრიალება, მაგრამ ეს გადატრიალება ვერავინ გაბედა. სააკაშვილმა ამერიკელთა თანხმობას მიაღწია და ეს გააკეთა. დაიწყო საყოველთაო გამოცოცხლების, იმედების, სერიოზულ ცვლილებათა მოლოდინის პერიოდი. ასეთი ემოციური განწყობა თავისთავად სასარგებლოა ერისათვის, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში აპათიის, ურწმუნობის, ნიჰილიზმის, უიმედობის მდგომარეობაში იმყოფებოდა. ახალი ხელისუფლების მიერ არაკანონიერად ნაშოვნი კაპიტალის ექსპროპრიაციისათვის გატარებულ ზომებს, რა თქმა უნდა, დემოკრატიასა და კანონიერებასთან საერთო არაფერი ჰქონდა, მაგრამ ისინი სამართლიანობის გამარჯვების შეგრძნებას იწვევდა, სანამ საბოლოოდ ფარსად გადაიქცეოდა. დადებითი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის დაწესებულ ზოგიერთ შეღავათს, ბიუროკრატიული სისტემის გამარტივების მცდელობებს. არ შეიძლება დედაქალაქის გარეგნული სახის გაუმჯობესებისათვის გაწეული შრომის, საავტომობილო გზების მშენებლობის დაუნახაობა. გზები უზარმაზარი, სტრატეგიული მნიშვნელობის საქმეა. ბევრ ქვეყანაში ეკონომიკის აღორძინება სწორედ გზების მშენებლობიდან იწყებოდა. თუმცა იქ ამით ადგილობრივი უმუშევარი მოსახლეობა იყო დაკავებული და არა თურქი მუშები. დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთში საქართველოს იმიჯის გაუმჯობესებასაც. ეს პირადად სააკაშვილის, მისი აქტიურობის, კომუნიკაბელობის, ენების ცოდნის დამსახურებაა.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით არანაირი ძვრა არ ჩანს მთავარი პრობლემების – საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ეროვნული ეკონომიკის ჩამოყალიბება, ქართველი ერის განვითარებისათვის პირობების შექმნა – გადაჭრაში.

**– თქვენი აზრით, რატომ არ გვარდება ეს მთავარი პრობლემები?**

– მიზეზი ბევრია, ობიექტურიც და სუბიექტურიც. ჯერ ერთი, ნაციონალურ მოძრაობას ხელისუფლებაში მოსვლისას ქვეყნის აღდგენის არანაირი კონკრეტული პროგრამა არ ჰქონია. იყო ზოგადი ფრაზები, ლოზუნგები, მოწოდებები, მაგრამ პროგრამა, საქართველოს მომავლის მკაფიო ხედვა არ ყოფილა. მეორეც, ხელისუფლებაში, ძირითადად, შემთხვევითი ხალხი მივიდა – ახალგაზრდობა, რომელსაც არც განათლება ჰქონდა, არც გამოცდილება და ცოდნა, ანუ არ იყო და არც ახლა არის პროფესიონალთა ერთიანი გუნდი, რომელსაც თითქმის 15-წლიანი საყოველთაო სისტემური კრიზისის დაძლევა ძალუძს. ამ ადამიანებს მოქმედების პროგრამა არ გააჩნიათ, არც პრაქტიკული გამოცდილება აქვთ, მათი ინტელექტუალური დონე ძალიან დაბალია – რა შედეგებზე შეიძლება ლაპარაკი? 1999 წლიდან მოვუწოდებ ხელისუფლებას, პოლიტიკურ და სამეცნიერო წრეებს, ერთობლივად შეიმუშაონ საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგია, რომელიც ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობისთვის გასაგები და მისაღები იქნება, და ის ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი სტრუქტურის საქმიანობას დაუდონ საფუძვლად. ხელისუფლებამ, მოსახლეობამ, თითოეულმა მოქალაქემ უნდა იცოდეს სახელმწიფოს მოქმედების მიზნები და ამოცანები, პრიორიტეტები საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, ეკონომიკაში, სოციალურ სფეროსა და კულტურაში. გარდა ამისა, გვჭირდება ეროვნული იდეა, რომელიც სახელმწიფო დონეზე დღემდე არ არის ჩამოყალიბებული. იდეის გარეშე კი სახელმწიფო არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. თქვენ იცით, რომ ერისა და სახელმწიფოს განვითარების სტრატეგიის საკუთარი ვარიანტი დავწერე და გამოვაქვეყნე, ვთავაზობდი, განეხილათ, სხვა ვარიანტები წამოეყენებინათ. მაგრამ შევარდნაძეს ეს არ სჭირდებოდა, პოლიტიკური ლიდერები კი ამას უსარგებლო **„თეორიად“** თვლიდნენ. როგორც ჩანს, ამ საქმის მნიშვნელობის გაგებისაგან დღევანდელი ხელისუფლებაც შორს დგას. საერთოდ, ჩვენს სახელმწიფო მოღვაწეებს თეორია რაღაც ზედმეტად, უსარგებლოდ წარმოუდგენიათ. არადა, იოსებ სტალინმა 1951 წელს, როდესაც უკვე შექმნილი ჰქონდა კოლოსალური ზესახელმწიფო ბირთვული შეიარაღებითა და ფანტასტიკური ეკონომიკური ზრდით, ქვეყნის განვითარების ახალ ეკონომიკურ თეორიაზე დაიწყო მუშაობა და განაცხადა: **„თეორიის გარეშე დავიღუპებით!“**

**– ამას წინათ შეერთებულმა შტატებმა საქართველოსთვის 300 მილიონი დოლარის გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. იქნებ ამან შეუწყოს ხელი ეკონომიკის აღორძინებას?**

– საქართველომ ბოლო წლებში ათჯერ მეტი მიიღო, მაგრამ განა ეს ეკონომიკის მდგომარეობაზე აისახა? ამერიკელები ფულს იმ პროექტებისთვის იძლევიან, რომლებიც თვითონ სჭირდებათ – გზების მშენებლობა ტრანზიტისთვის, გაზსადენის რემონტი და ა.შ. ის, რა თქმა უნდა, საქართველოსთვისაც კარგია, მაგრამ ეროვნულ ეკონომიკაში თვისობრივი ცვლილებები არ შეაქვს. თუ ქართველები შეეგუენ სატრანზიტო ტერიტორიაზე მომსახურე პერსონალის ფუნქციას, რომელიც მათ შევარდნაძემ გაუმზადა, მაშინ ყველაფერი კარგად ყოფილა. მაგრამ თუ გვსურს ერად დავრჩეთ და სახელმწიფო გვქონდეს, მაშინ აუცილებელია საკუთარი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება. საქართველოს ჯერჯერობით საკმაო სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი აქვს იმისათვის, რომ შესაბამისი ინვესტიციების შემთხვევაში ორი-სამი მაღალტექნოლოგიური, მეცნიერებატევადი დარგი შექმნას, რომლებიც თუნდაც პოსტსაბჭოურ სივრცეში გაუძლებს კონკურენციას. არა აქვს მნიშვნელობა, რა იქნება ეს – მიკროელექტრონიკა, ელექტროტექნიკა, ბიოტექნოლოგიები – მთავარია, რომ თავისი დონით, მოცულობით და მნიშვნელობით ისინი ქვეყნის მრეწველობისთვის საბაზო გახდეს და სახე შეუქმნას საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, რომელიც კონკურენტუნარიან სამრეწველო პროდუქციას აწარმოებს. ამ ამოცანის გადასაწყვეტად დღეს კადრები გვყავს, 10-15 წლის შემდეგ კი აღარ გვეყოლება.

**– შესაძლოა, განათლებისა და მეცნიერების რეფორმამ, რომელიც ახლა ტარდება, მომავალში უკეთესი კადრებით უზრუნველგვყოს?**

– დღევანდელი რეფორმა ქართველი ერის სამეცნიერო, საგანმანათლებლო და კულტურული პოტენციალის ორგანიზებული განადგურებაა. ეს იმ მიზანმიმართული ოპერაციის დამამთავრებელი ეტაპია, რომელსაც შევარდნაძე თანმიმდევრულად ახორციელებდა წლების განმავლობაში, ახლანდელი მოღვაწეები კი უკანასკნელ აკორდებს ასრულებენ. ის, რაც ახლა ინგრევა, მხოლოდ რამდენიმე ათწლეულის შემდეგ შეიძლება აღდგეს, ყველაზე შემოქმედებითი მუშაობის პირობებშიც კი. ასეთია განათლებისა და მეცნიერების სისტემის სტრუქტურა: მყისიერად ინგრევა, მაგრამ ძალიან ნელა აღდგება. ამიტომ, თუ 40-წლიანთა და მათზე უფროსების – ერის ყველაზე განათლებული, პასუხისმგებელი, პროფესიონალი და პატრიოტი თაობების ცოდნასა და გამოცდილებას არ გამოვიყენებთ, ქვეყნის აღორძინების შანსს ხელიდან გავუშვებთ. საუბედუროდ, დღეს სწორედ ამ თაობას აძევებენ საზოგადოების სოციალური ცხოვრების ყველა სფეროდან. სხვათა შორის, ეს პროცესიც შევარდნაძემ დაიწყო.

**– თქვენ ძალიან მკაცრად აკრიტიკებთ დღევანდელ ხელისუფლებას ანუ, ფაქტობრივად, პრეზიდენტ სააკაშვილს. არადა, როგორც ვიცი, მასთან და მისი გუნდის ზოგიერთ წევრთან კარგი ურთიერთობა გაქვთ...**

– პირადი ურთიერთობა ჩემს მსოფლმხედველობასა და პოლიტიკურ მრწამსზე, სამშობლოს მომავლის ჩემეულ ხედვაზე გავლენას ვერ მოახდენს. პირადად მიშა სააკაშვილის მიმართ ცუდად არ ვარ განწყობილი, მაგრამ ხელისუფლების საქმიანობის შეფასებისას მიღწევას ყოველთვის მიღწევას ვუწოდებ, შეცდომას – შეცდომას, ხოლო დანაშაულს – დანაშაულს. ყველა რეჟიმის დროს სიმართლეს ვამბობდი, საზოგადოებას არასდროს ვატყუებდი, მაშინაც კი, როცა ადამიანებს ამ სიმართლის გაგონება არ სიამოვნებდათ, სამაგიეროდ დღეს არცერთი ჩემ მიერ ნათქვამი ან დაწერილი სიტყვისა არ მრცხვენია. მეტსაც გეტყვით, ჭკვიან ხალხს უნდა ესმოდეს, რომ მხოლოდ სამშობლოს სიყვარული, ჩემს ხალხზე ზრუნვა მამოძრავებს, პოლიტიკური ამბიციები არ მაწუხებს, ხელისუფლებაში ყოფნის პრეტენზია არ მაქვს, პრეზიდენტად ნებისმიერი ადამიანი მაძლევს ხელს, რომელიც საქართველოს დანგრეული, არშემდგარი სახელმწიფოდან ერთიან, აყვავებულ ქვეყნად გადააქცევს. თუ ამას მიხეილ სააკაშვილი გააკეთებს, პირადად დავუდგამ ძეგლს. ზვიად გამსახურდიას საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ძეგლი უკვე დავუდგი.

**– ყველა ხედავს, რომ ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ აფხაზეთის და ოსეთის პრობლემების მოგვარებაში არანაირი წინსვლა არ მომხდარა. უფრო – პირიქით, ურთიერთობა კიდევ უფრო გაუარესდა. რა არის ასეთი მდგომარეობის მიზეზი?**

– მიზეზი რამდენიმეა. ჯერ ერთი, ქართულ პოლიტიკურ წრეებს და ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილსაც კი ბოლომდე არ ესმით ქვეყნისა და ერისათვის ამ რეგიონების დაკარგვის კატასტროფულობა. გაცნობიერებული არ არის, რომ მოცემულ მომენტში საქართველო არ არსებობს, რადგან საქართველო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშე საქართველო აღარ არის, ეს სხვა სახელმწიფოა და სხვაგვარად უნდა იწოდებოდეს. როდესაც სააკაშვილი პრეზიდენტად აირჩიეს, საჯაროდ ვურჩიე, არ დავიწყებოდა, რომ ის არა საქართველოს, არამედ მხოლოდ მისი ნაწილის პრეზიდენტად იქნა არჩეული და ვუსურვე, საქართველოს პრეზიდენტი გამხდარიყო. ჯერჯერობით საქართველოს პირველ და ერთადერთ პრეზიდენტად ზვიად გამსახურდია რჩება. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ აფხაზეთის პრობლემის მოგვარების გარეშე ქვეყნის სრულფასოვანი ეკონომიკური განვითარება შეუძლებელია, ჩვენ ვერასოდეს გავიმართებით წელში. მეორეც ერთი, – როგორც გაირკვა, ხელისუფლების კეთილდღეობა არაფრით არის დამოკიდებული ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის გადაჭრის უნარზე. შევარდნაძე ყოველწლიურად ატყუებდა ხალხს და „აფხაზეთის დაბრუნების“ ახალ-ახალ ვადებს ასახელებდა, მაგრამ ეს საზოგადოებრივ პროტესტს არ იწვევდა: მოღალატე ინტელიგენცია კვერს უკრავდა, პარლამენტის ე.წ. **„აფხაზეთის დეპუტაცია“** მლიქვნელურად სცემდა ტაშს, ხალხი კი მასობრივად დუმდა. როგორც ვატყობ, ეს პრაქტიკა მეორდება...

**– თქვენ მუდამ ხაზს უსვამდით რუსეთის როლს ჩვენი ტერიტორიული პრობლემის მოგვარებაში. დღეს ჩვენს ხელმძღვანელობას განზრახული აქვს, საერთოდ უარი თქვას რუსეთის შუამავლურ როლზე. რას ფიქრობთ ამაზე?**

– ესეც თქვენ ახლანდელი მდგომარეობის მთავარი მიზეზი: ქვეყნის როგორც წინა, ისე ახლანდელი ხელისუფლების უუნარობა, პოსტსაბჭოთა სივრცის მთავარ გეოპოლიტიკურ მოთამაშესთან – რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობა მოაგვაროს. რუსეთის დაინტერესებული ჩარევის გარეშე ტერიტორიული მთლიანობის პრობლემების გადაჭრა შეუძლებელია. მაგრამ ჩვენი ხელმძღვანელობა პოლიტიკურ პარტიებთან ერთად უკვე 15 წელია, თითქოს საგანგებოდ აკეთებს ყველაფერს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გასამწვავებლად. შევარდნაძისგან ეს გასაგები იყო: ის მარიონეტი გახლდათ და კონკრეტულ დაკვეთას ასრულებდა, მათ შორის, აფხაზეთის დათმობისას, მაგრამ ახალი ხელისუფლება უნდა მიმხვდარიყო, რომ შევარდნაძის კურსის გაგრძელება ქვეყნისთვის დამღუპველია. ხოლო ის, რომ ეს საგარეოპოლიტიკური კურსი დღესაც გრძელდება, აშკარაა და ეჭვს არ იწვევს. სხვაგვარად ძნელი ასახსნელია, რატომ თქვა საქართველოს ხელმძღვანელობამ უარი, რუსეთთან ჩარჩო ხელშეკრულებაში დაეფიქსირებინა საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის ჯარების განუთავსებლობის ვალდებულება. ესე იგი, რუსეთის ბაზების გასვლას იმისთვის ველოდებით, რომ მათი ადგილი ნატოს ეგიდით თურქეთის ჯარებმა დაიკავონ. გამოდის, რომ რუსეთს ვუცხადებთ: დაგვიბრუნეთ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, ჩვენ კი იქ ნატოს ბაზებს განვალაგებთ. და ამის შემდეგ რუსეთი კონფლიქტების მოგვარებაში დაგვეხმარება?

საერთოდ, საქართველოს როგორც უწინდელ, ისე ახლანდელ ხელისუფლებას არ ესმის ან არ უნდა, გაიგოს რუსეთთან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კავშირის მნიშვნელობა. დავუშვათ, მათთვის სულერთია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ბედი, პოლიტიკური ელიტა ჩუმ-ჩუმად შეეგუა, რომ ეს ტერიტორიები დაკარგულია, ამას აღარც მალავენ როგორც პირად, ასევე უცხოელ ექსპერტებთან საუბრისას. მხოლოდ ზოგიერთ მათგანს შემორჩა ცხინვალის რეგიონის ძალის გამოყენებით დაბრუნების იმედი, აფხაზეთზე კი სერიოზულად აღარავინ ფიქრობს. მაგრამ ჩემთვის გაუგებარია რუსეთთან ურთიერთობის საკითხში ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების გაუთვალისწინებლობა. ცხოვრებამ გვაჩვენა, რომ საქართველოს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პოტენციალი ძირითადად იმის გამო განადგურდა, რომ ჩვენმა მწარმოებელმა რუსეთის ბაზარზე თავისუფალი დაშვება დაკარგა. ჩვენი პროდუქციისთვის სხვა ბაზარი არ არის და კიდევ დიდხანს (შესაძლოა, აღარასოდეს) არ იქნება.

**ესაუბრა ზურაბ ფაჩულია**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# არნო ხიდირბეგიშვილი: „ვინ გაავლო ახალი საზღვარი სამხრეთ ოსეთთან? გარდატეხა საქართველოსა და რუსეთს შორის მხოლოდ პუტინთან ღარიბაშვილის შეხვედრის შემდეგ მოხდება, ერთი ადამიანის შემწეობითა და მონაწილეობით, რომელსაც მე კარგად ვიცნობ“.



წინა კვირის მთავარ სკანდალად ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, 2015 წლის 10 ივლისს, თითქოსდა რუსი მესაზღვრეების მიერ **„სამხრეთ ოსეთის საზღვრის“** აღმნიშვნელი ორი ახალი ბანერის დადგმა იქცა – სოფელ წითელუბანსა (გორის რაიონი) და ორჭოსანთან (ახალგორის რაიონი), რომლის ზონაშიც **„ბაქო-სუფსის“** მაგისტრალური მილსადენის მონაკვეთი მოექცა.

შევახსენებ ცრუპატრიოტებს,რომ ტერმინი **„სამხრეთ ოსეთი“** მათმა ბელადმა – სააკაშვილმა შემოიღო, ნაცვლად პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიერ დაკანონებული ტერმინისა **„სამაჩაბლო“. „სანამ ხელისუფლებაში არ მოვედი, ქართულ პოლიტიკაში მიიჩნეოდა,რომ ტერმინ „სამხრეთ ოსეთის“ გამოყენება – სრული თვითმკვლელობაა... მე პირველმა გამოვიყენე ეს ტერმინი, პირველმა შევთავაზე ოსებს ღია ავტონომია,თუმცა,ამაზე ხმის ამოღებაც საშიში იყო,ანდა ითვლებოდა,რომ ეს საშიშია!“** – ეტრაბახება სააკაშვილი **„ეხო მოსკვისთან“** ინტერვიუში – სოფიკო შევარდნაძესა და ვიტალი დიმარსკის 2007 წლის იანვარში. სააკაშვილმა, რომელსაც შევარდნაძის გერმანიის გამაერთიანებლის სახელი არ აძინებდა, საგანგებოდ უწოდა ცხინვალის რეგიონს **„სამხრეთ ოსეთი“**, რათა იგი ჩრდილოეთ ოსეთისთვის შეეერთებინა,როგორც – კოდორის ხეობას უწოდა **„ზემო აფხაზეთი“**, რათა აფხაზეთისთვის მიეერთებინა.

რაც შეეხება ტერმინს **„საზღვარი“** – გეთაყვა, თქვით **„გამყოფი“** ანდა **„სადემარკაციო ხაზი“**, თქვით **„ბორდელიზაცია“**, როგორც ომამდე გაიძახოდით **„ესკალაცია“**, ახლა კი **„ვიზალიბერალიზაცია“**... ამისგან საზღვარი არ აორთქლდება და გადაიქცევა ადმინისტრაციულად მხოლოდ თბილისსა და ცხინვალს შორის დარეგულირების შემთხვევაში!

იმის გამო,რომ სააკაშვილის ტელეკომპანიამ მიაჩვია ქართველები ნანუკა ჟორჟოლიანის **„ტვინით“** ფიქრს, არავის თბილისში – პარლამენტშიც კი! – არ შეუნიშნავს აშკარა შეუსატყვისობანი: თუ ბანერები რუსმა მესაზღვრეებმა დააყენეს, მაშ სად არის,დანარჩენი,ჩვენთვის კარგად ცნობილი საზღვრის ატრიბუტები – მავთულხლართები, გერმანული ნაგაზები და თავად მესაზღვრეები? და რატომ გადაწყვიტა უცებ რუსეთმა ახალი ბანერების დადგმა სწორედ ახლა, ახალი ხელისუფლების დროს,რომელმაც მასთან სავაჭრო ურთიერთობები აღადგინა? თანაც,კარასინისა და აბაშიძის შეხვედრამდე 4 დღით ადრე, თუმცა, ამის გაკეთება 2008 წლის აგვისტოს შემდეგ,რუსოფობ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს ნებისმიერ დღეს შეეძლო?! რა ღირებულებას წარმოადგენს რუსეთისთვის ეს **„საწყალი“** 300 მეტრი? და განა რუსეთი რაიმეს ოდესმე **„უცებ“** აკეთებდა?!

გახსოვთ, რამდენჯერ გააფრთხილა პრეზიდენტმა პუტინმა სააკაშვილი: **„რუსეთი აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მიუხედავად თვითგამორკვევის მსურველი აფხაზებისა და ოსების თხოვნისა,მაგრამ თავს არ დაესხათ მათ, რათა კოსოვოს პრეცედენტი პრეცედენტურად არ იქცეს“**? გახსოვთ, როგორ გააფრთხილა რუსეთმა საქართველო,როცა სამხედრო წვრთნები **„კავკასია-2008“** აგვისტოს ომამდე ცოტა ხნით ადრე მის საზღვრებთან ჩაატარა? როგორ გამოჩნდნენ რუსული გამანადგურებლები თბილისის თავზე საქართველოში აშშ-ის სახელმწიფო მდივან კონდოლიზა რაისის ვიზიტისას, რაც ასევე გაფრთხილება იყო **„შეუგნებელი“** სააკაშვილისა და მისი ბანდისათვის?!

რატომ გვაფრთხილებდა რუსეთი და „домашние заготовки»-ს ამზადებდა? იმიტომ, რომ ახალარჩეული პრეზიდენტი სააკაშვილი და მისი თავდასხმის მინისტრი ოქრუაშვილი იმუქრებოდნენ, რომ ახალ წელს ცხინვალში შეხვდებოდნენ, ერთი წლის შემდეგ სოხუმში შევიდოდნენ ახალი ავტობანით თბილისიდან, აფეთქებდნენ გზებს და აწყობდნენ იდიოტურ პროვოკაციებს ერგნეთსა და კოდორში, სადაც ჯერ დაგვამცირეს,შემდეგ კი სამარცხვინოდ გამოგვყარეს!

ასე რომ **„უცებ“** და უმიზეზოდ რუსეთი არაფერს აკეთებს! გაიხსენეთ: ახალგორის რაიონში, რომელიც პატრიარქ ილია მეორესთან საუბრის შემდეგ პუტინმა ქართულ მხარეს დაუბრუნა, რატომ დაბრუნდნენ ორი დღის შემდეგ რუსი მესაზღვრეები ბანერებით, ჯავშანტრანსპორტიორებითა და შლაგბაუმით? იმიტომ,რომ სააკაშვილმა დაიტრაბახა – აქაოდა,პატრიარქი პუტინს ჩემი დავალებით ელაპარაკებოდა და ჩემი მითითება გადასცაო! თუმცა,ათობით ათასი ლტოლვილი, რომლებიც პუტინმა გალში შევარდნაძის თხოვნით დააბრუნა,დღემდე იქ რჩება, იმიტომ, რომ შევარდნაძე არ ტრაბახობდა სააკაშვილის მსგავსად, პირიქით – საჯაროდ აღიარა,რომ პუტინი სიტყვის კაცია!

თუმცა თუ არა რუსმა მესაზღვრეებმა, მაშ ვინ დააყენა ეს ბანერები?

ეს ცხინვალიდან სააკაშვილის ხალხმა გააკეთა, რომლებიც სააკაშვილზე მუშაობენ! სავარაუდოდ,სწორედ მათ,მისი დავალებით ააფეთქეს 20 იანვარს იური ვაზაგაშვილი შვილის საფლავზე კასპის რაიონის სოფელ ყარაფილაში, ხოლო 10 ივლისს, სააკაშვილის ახალი ბრძანებით, სოფლებში – წითელუბანსა და ორჭოსანში ბანერები დადგეს! სააკაშვილი ალბათ ხელგაშლილად უხდის თავის ოს შემსრულებლებს დოლარებს, თუმცა შუამავლის მეშვეობით,კონსპირაციის მიზნით.

**„თქვენ მადანაშაულებთ კორტებთან ჩატარებული სპეცოპერაციისთვის, სადაც დღისით-მზისით ესროლეს უდანაშაულო ყმაწვილ ვაზაგაშვილსა და მის მეგობრებს?! ჰოდა, მიიღეთ – ახალი ხელისუფლების დროს მის საფლავზე მამამისი – იური ააფეთქეს!“** – ასეთია პირწავარდნილი დამნაშავე სააკაშვილის მოტივაცია.

**„მწყევლით,რომ საქართველომ ჩემ გამო ტერიტორიების 20 % დაკარგა?! აი თქვენ ახალი ბანერები,რათა ყველამ დაინახოს – რუსეთი ქართულ მიწებს იტაცებს ივანიშვილი-ღარიბაშვილის ხელისუფლების დროსაც! და არა აქვს მნიშვნელობა,რომ ეს რამდენიმე ასეული მეტრია – სამაგიეროდ კარასინისა და აბაშიძის მოლაპარაკებებს ჩაგიშლით!“** – სიხარულით იფშვნეტს ხელებს დიდი პროვოკატორი, რომელსაც გასაქცევი არსად აქვს ოდესიდან.

უბედური უკრაინელები მალე დარწმუნდებიან,რომ სააკაშვილი უმეცარი და ვერაგი ცრუპენტელაა! იმის ანალოგი, რასაც სააკაშვილი უკრაინელებს ჰპირდება, მსოფლიოში არსად არ არის – არც ევროპაში, არც აშშ-ში და მით უმეტეს, საქართველოში, იმიტომ, რომ ყველა მისი **„გათვლა“**– ბლეფია და ლაყბობაა **„საყოველთაო კომუნიზმზე“**, რომელიც კომკავშირის მდივანმა – რიგითმა სააკაშვილმა სსრკ-ის «КГБ»-ს ჯარებში (ბორისპოლის საერთაშორისო აეროპორტში) სამსახურისას ზამპოლიტისგან დაიმახსოვრა! სინამდვილეში სააკაშვილი არ ფლობს არცერთ პროფესიას, ელემენტარულად ვერ ერკვევა სამართალში, ეკონომიკაში,სახელმწიფო მშენებლობაში და მთელი თავისი უნივერსიტეტები ექსტერნად დაამთავრა ბიძამისის – „КГБ“-ს პოლკოვნიკ თემურ ალასანიას და ინგლისური ენის ცოდნის წყალობით,რომელსაც მას ბავშვობიდან ასწავლიდა რეპეტიტორი გელა ჩარკვიანი – საქართველოს კომპარტიის პირველი მდივნის ედუარდ შევარდნაძის თანაშემწე.

მაშ ასე, გამოცდილმა პიარშიკმა სააკაშვილმა ისტერიული ფლეშმობი მოაწყო მისი ბრძანებითვე დაყენებულ ბანერებთან. სწორედ იმიტომ,რომ იცოდნენ, ეს – მათი ბელადის, და არა რუსი მესაზღვრეების ნამოქმედარია,მთავარმა ნაციონალ-პარლამენტარებმა, 2008 წლის აგვისტოში საქართველოდან წითელი ხიდით რომ გარბოდნენ თავისი ცოლების საცვლებში,ასე უშიშრად ჩაატარეს მიტინგი **„რუსი ოკუპანტების მიერ დადგმულ“** ბანერებთან და ინტერვიუებიც მისცეს **„რუსთავი 2“**-ს!

შემდეგ გამოჩნდა სააკაშვილის ახალგაზრდული ზონდერბრიგადა – **„თავისუფალი ზონის“** ხულიგნები და ნაც-ჟურნალისტები მიშას მრავალნაცადი ფავორიტების – ნანუკა ჟორჟოლიანის და სააკაშვილის ბიბლიოთეკარის **„შურიკა“** ბარნოვის – ხელმძღვანელობით. მათ გადააყირავეს ბანერები მიწაზე, დაასხეს საღებავები და ზედ **„საომარი ცეკვის“** შესრულება დაიწყეს,ნატოსა და უკრაინის დროშებში გახვეულებმა,მრისხანე შეძახილებით! მათ კვალდაკვალ მიჰყვა რამდენიმე მუქთა გასეირნებით გახარებული ათეული სტუდენტი ლექტორებთან ერთად... სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ მათ შორის იყვნენ უბრალოდ ნაცპროპაგანდით თავგზააბნეული ტიპური ქართველებიც – ობივატელები,რომლებსაც ამბიციები და ემოციები მეტი აქვთ, ვიდრე გონიერება...

**„ისინი ჩამოვიდნენ თბილისიდან,იძახეს პატრიოტული ლოზუნგები, იკეკლუცეს ტელეკამერებთან და უკან, თბილისში გაბრუნდნენ ყავის მისართმევად! ჩვენ კი აქ დავრჩით, გაღიზიანებული ოსების პირისპირ,რომლებიც შურს იძიებენ ჩვენზე – დაგვაპატიმრებენ მინდვრებში ჩვენს პირუტყვთან ერთად,რომელიც საზღვრებს არ აღიარებს, უმიზეზოდ მოგვიწყობენ საბუთების შემოწმებას – მეთოდი მრავალია!“** – ამბობენ **„ნაციონალების“** პროვოკაციით უკმაყოფილო ადგილობრივი მცხოვრებლები და აბსოლუტურად მართალი არიან! სწორედ ასეთ პროვოკაციებს ჰქონდა ადგილი 2008 წლის 8 აგვისტომდე! ცდება ის,ვინც ფიქრობს,რომ სააკაშვილი მაშინ ოსების პროვოკაციაზე წამოეგო! ეს ოსები წამოეგნენ სააკაშვილის პროვოკაციაზე, როცა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის უფროსი, ქართული მშვიდობისმყოფლური ძალების შტაბის უფროსთან ერთად, **„ჯიპებით“** ჩადიოდნენ იქ და ქვიშით სავსე ტომრებზე მწოლიარენი, ბლინდაჟებიდან ისროდნენ ავტომატებითა და ტყვიამფრქვევებით ოსების მხარეს, რომლის პოზიციებსაც მკაფიოდ ხედავდნენ ბინოკლებში! რამდენიმე ჯერის დაცლის შემდეგ ისინი გორში – რესტორნებში დასალევად და საქეიფოდ – მიდიოდნენ, ადგილობრივ მოსახლეობას კი ოსების საპასუხო ცეცხლისგან დამალვა უხდებოდა...

რაც შეეხება საყვედურებს მოსკოვის მისამართით,რომელიც სავაჭრო ურთიერთობების აღდგენის **„უმადურია“**: სავაჭრო ურთიერთობების აღდგენა არა საქართველოს, არამედ რუსეთის კეთილი ნების ნაბიჯი იყო,რომელმაც ქართულ პროდუქციაზე ემბარგო მოხსნა, რათა ქართველ გლეხებს არ გაეჩეხათ ვაზები და პლანტაციებში არ ჩამპალიყო მანდარინები! რუსეთი, რომელსაც მიუფურთხებია დასავლეთის სანქციებისთვის, როგორმე თავს გაიტანდა **„ბორჯომის“, „ქინძმარაულის“** და ქართული მწვანილის გარეშეც...

ამიტომ ადამიანურად მებრალება ხანდაზმული სპეცწარმომადგენელი აბაშიძე, რომელსაც ხან ჟენევაში და ხანაც პრაღაში აგზავნიან და აიძულებენ ერთი ილაპარაკოს იქ, მეორე – აქ და მესამე – **„რუსთავი 2“-ზე**: წესიერი კაცია,შესაძლოა გული გაუსკდეს! ხოლო ძირეული გარდატეხა საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობებში მხოლოდ პუტინთან ღარიბაშვილის შეხვედრის შემდეგ მოხდება, ერთი კაცის შემწეობითა და მონაწილეობით, რომელსაც მე კარგად ვიცნობ. ვფიქრობ,რუსეთის პრეზიდენტი უარს არ იტყვის ფილანტროპ და საზოგადოებრივ ლიდერ ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრაზეც,რაც ძალიან სასარგებლო იქნება როგორც საქართველოს, ასევე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებისთვისაც.

**არნო ხიდირბეგიშვილი,**
**საქინფორმის მთავარი რედაქტორი**

## ირაკლი ღარიბაშვილი – ისეთი ავანტიურისტები, როგორიცაა “თავისუფალი ზონა”, ანდრო ბარნოვი და სხვები, ანტისახელმწიფოებრივად მოაზროვნეები არიან



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მიიჩნევს,რომ ქვეყნის შიგნით მოქმედი დესტრუქციული ძალები ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის დაწყების წინ, ცდილობენ სიტუაცია განსაკუთრებით დაძაბონ. ამის შესახებ ღარიბაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.

**“ასეთი პროვოკაციებით ეს ადამიანები ვერაფერს მიაღწევენ. ისეთი ავანტიურისტები,როგორიცაა “თავისუფალი ზონა”, ანდრო ბარნოვი და სხვები,არიან ანტისახელმწიფოებრივად მოაზროვნეები და ძაბავენ მოსახლეობას. ჩვენთვის მთავარი არის ის, რომ მთავრობა აგრძელებს კონსტრუქციულ პოლიტიკას და ამას ხელს ვერავინ შეუშლის. შიდა დესტრუქციული ძალები ვერ შეგვაჩერებენ, რომლებიც განსაკუთრებით ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე, ძაბავენ სიტუაციას,”** – განაცხადა ღარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრის თქმით,ეს არის აშკარა, მიზანმიმართული ანტისახელმწიფოებრივი ქმედება, რომელიც დასჯადია. ნაციონალებს კი ცოცხალი თავით არ უნდათ იმის აღიარება, რომ სამაჩაბლოს ადმინისტრაციულ საზღვართან განვითარებული მოვლენები სათავეს იღებენ მათ მიერ 2008 წლის აგვისტოში მოწყობილი პროვოკაციიდან,რამაც საქართველოს დამატებით დაუკარგა კოდორის ხეობა და ახალგორის რაიონი.

## თურქეთის ნაკადი“ რეალიზდება – უკრაინა თამაშიდან გავარდა

„აღნიშნული პროექტი რუსეთს საშუალებას მისცემს, მეტად აღარ გამოიყენოს უკრაინა როგორც ქვეყანა ტრანზიტორი ევროკავშირში,ხოლო თურქეთს – უფრო მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს გეოეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ პლანში, განსაკუთრებით, ბრიუსელთან მიმართებაში. გაზსადენ **„თურქეთის ნაკადის“** პროექტი განხორციელდება მიუხედავად დასავლეთის მხრიდან ნეგატიური რეაქციისა, – მიაჩნია Sputnik-ის ანალიტიკოს მიხაილ გამანდიეგოროვს. თურქეთმა უკვე უარი განაცხადა დასავლეთის ქვეყნების ანტირუსულ სანქციებს მიერთებოდა. **„აშშ და მისმა ვასალებმა მაშინვე განაცხადეს,რომ ამ პროექტს არ ეთანხმებიან. თუმცა,მოსკოვი და ანკარა მის რეალიზებას მოახდენენ“.**

**„...თურქეთის მოქალაქეებს სულ უფრო ნაკლებად იზიდავს ევროკავშირში შესაძლო შესვლის პერსპექტივა. პირიქით,ახლა ბევრი გამოთქვამს სურვილს,ფსონი გაკეთდეს ჩრდილოეთ მეზობელ – რუსეთთან ურთიერთობის განვითარებაზე, რომ აღარაფერი ვთქვათ** briksის **სხვა ქვეყნებზე, ჩინეთისა და ევრაზიული სივრცის ქვეყნების ჩათვლით“,** – აღნიშნავს ანალიტიკოსი.

**საქინფორმი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამეგრელოს საისტორიო გეოგრაფია იაკობ რაინეგსის სამოგზაურო ჩანაწერებში და თანამედროვე ისტორიოგრაფია

## მდინარე ენგური

ენგურის ხეობა უძველესი დროიდან იქცევდა უცხოელ და ქართველ მემატიანეთა ყურადღებას, მასზე გამავალი მნიშვნელოვანი სტრატეგიული, პოლიტიკური თუ ეკონომიკური კომუნიკაციებით.

იაკობ რაინეგსის ცნობით, სამეგრელოს გადაკვეთს დიდი მდინარეები. მათ შორისაა ენგური, რაც ქმნის მხარის დასავლეთ საზღვარს. მოგზაური მდინარის სათავედ შეცდომით მიუთითებს აფხაზეთის მთებს. სამაგიეროდ, შედარებით ზუსტად მიუთითებს შავ ზღვასთან მდინარის შეერთების ადგილს: ენგური **„რუხთან, ილორსა და ანაკლიას შორის შავ ზღვაში ჩაედინება“** (იქვე: 119).მოგზაური იქვე დასძენს, რომ სათავეში ორ ტოტად გაყოფილი ენგური ხელახლა აღარ ერთდება. ამიტომ მარჯვენა ტოტისთვის ენგური უწოდებიათ, მარცხენასთვის – შანის წყალი (Schanist-skali – ცხენის წყალი?) (იქვე: 119).

ენგური სათავეს იღებს ხეობის ტიპის მყინვარ ენგურ-უხვანზე, ზ. დ. 2614 მ-ზე, გაედინება კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ კალთაზე და კოლხეთის ბარში, სოფ. ანაკლიასთან შეერთვის შავ ზღვას. მდინარის სიგრძე 213 კმ-ია, ხოლო აუზის ფართობი – 4.060 კმ2. სვანეთის ქვაბულიდან გამოსული ენგური ჯვარამდე ღრმა და ვიწრო ხეობაში მიედინება. ჯვართან, დაბლობზე გამოსული მდინარე იტოტება და ფართო ხეობას ქმნის. სოფ. რუხთან ორ ტოტად გაყოფილი ენგურის მიერ შექმნილ, 12 კმ სიგრძისა და 0,5-2 კმ სიგანის კუნძულზე გაშენებულია სოფელი შამგონა (უკლება, ქსე, 1979: 150).

XVII ს-ის იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი კოლხიდის **„უმთავრეს და უფრო ცნობილ“** მდინარეებს შორის ასახელებს ენგურს, რაც, მისი აზრით, უწინდელი ასტელეფოსი უნდა იყოს. გვთავაზობს მდინარის აღწერილობასაც: **„ენგური ჩამოდის დიდის სისწრაფით სვანეთის მთებიდან. ზაფხულის სიცხეებში თოვლის დნობის დროს იგი საშინლად მატულობს, და უნავოდ გასვლა მასში შეუძლებელია. რამდენადაც უფრო გრილია. წყალი რიყის ქვებს შუა იწმინდება და მეტად მშვენიერია. ამ მდინარეში მრავალი ნაირ-ნაირი თევზია, რომელსაც მკვიდრნი იჭერენ ბადითაც და ხისკავებითაც. როცა ზაფხულობით წყალი მატულობს, ამ მდინარის ზღვასთან შესართავში ძალიან ბევრ ზუთხს იჭერენ“** (ლამბერტი 2011:200-201). ჟან შარდენი იმოწმებს ენგურის ა-ხმოვნიან ფორმას: ლ-ანგურ (კახაძე 1993: 382). მდინარეს არაერთგზის მოიხსენიებს ნგოურის ფორმით ჟაკ ფრანსუ აგამბაც (გამბა 1987:83,94,104,105,111,112,317,321,329).

## წალიკარი

რაინეგსი მოიხსენიებს სამეგრელოს ქალაქთაგან ყველაზე მნიშვნელოვანსა და დიდს – ცალიკარას (Zalikara) და მის მდებარეობას მიუთითებს ჰიპოსის მარჯვენა ნაპირზე, რიონთან მისი შეერთების 12 ვერსის ზემოთ: **„მას მდებარეობა ხელს დიდად უწყობს ვაჭრობაში, მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობაში; მაგრამ მოსახლეობა ამ მადლს არ იყენებს სიზარმაცის გამო და სანაოსნო ჰიპოსი გამოუყენებელი მიედინება ტრედიისკენ“** – წერს მოგზაური (იქვე: 122). ჩვენი აზრით, რაინეგსისეული ცალიკარა სოფ. წალიკარს უნდა გულისხმობდეს, თუმცა მისი, როგორც უმნიშვნელოვანესი დასახლებული პუნქტის, კერძოდ, სამეგრელოს დიდ ქალაქად მიჩნევის შესახებ, სხვა წერილობითი წყაროები არ მოგვეპოვება.

წალიკარი რიონის მარჯვენა მხარეს, ზ. დ. 10 მ სიმაღლეზეა და სუჯუნის თემში შედის. აბაშამდე 5,5 კმ-ია. ოდიშ-ლეჩხუმის დავით დადიანისეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის თანახმად წალიკარი საჭილაოს მაზრაში შემავალი სოფელია (მეუნარგია 1939: 113). გ. ელიავა **„აბაშისა და მისი მიდამოების“** ტოპონიმთა ნუსხაში დაზუსტებული ლოკალიზაციის გარეშე მიუთითებს ოიკონიმს **„წაიკარის“** ფორმით (ელიავა 1977: 37). იმავე ნაშრომში სახელწოდება **„წალიკარი“** მითითებულია სუჯუნისა და ზანათის ტოპონიმთა ნუსხაში (იქვე: 55,58). დაზუსტებული ლოკალიზაცია მოცემული არაა, მაგრამ ერთგან ტოპონიმს ახლავს კომენტარი: უწინ ხალხით დასახლებული ეს ტერიტორია დღეს დაუსახლებელი და შიშველიაო (იქვე: 58).

საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარში (1961 წლის 1 ივლისის მდგომარეობით) აბაშის რაიონის სუჯუნის სასოფლო საბჭოში მითითებულია წალაკარის ფორმით (დაყოფა 1961:13).

სოფელი მოხსენიებულია ცნობილი ფრანგი მოგზაურის – ჟაკ ფრანსუა გამბას (1763-1833 წწ.) სამოგზაურო ჩანაწერებში, სადაც აღნიშნულია, რომ წალიკარის **„მოსახლენი უფრო შრომისმოყვარენი ჩანდნენ და უფრო შეძლებულადაც ცხოვრობდნენ, ვიდრე სხვა სოფლების ბინადარნი, რომლებიც მოგზაურებმა გაიცნეს. სიმინდისა და ფეტვის კულტურებთან ერთად მათ მოჰყავთ სელი და კანაფი... სოფელ წალიკართან ფაზისის მარჯვნივ მდებარე მხარე ძალზე დაბალია, მაშინ როდესაც გურიის მომიჯნავე მხარე მაღალია“** (გამბა 1987:141). 1886 წლის მონაცემებით წალიკარი 71-კომლიანი (380 სული) სოფელია. წალიკარის საბაჟო აღნიშნულია ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის ინიციატივით შედგენილ რუკაზე, რიონის მარჯვენა ნაპირას.

## ხორში (ხურცი?)

რაინეგსის ჩანაწერებში მოიხსენიება ტეხურას მარცხენა ნაპირზე გაშლილი და ძალზე დასახლებული პუნქტი ხურცის სახელწოდებით (იქვე: 121). ტეხურის ხეობაში ამ სახელის მატარებელი სოფელი არ არსებობს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ რაინეგსისეული ხურცი ამჟამინდელი სოფელი ხორში იყოს, რაც სენაკის რაიონის სოფლების – დიდი ხორშისა და შუა ხორშის ძველი სახელწოდებაა. მაგრამ ამ ვარაუდს ის წინააღმდეგობა ახლავს, რომ სახელდებული ობიექტი მდებარეობს ქ. სენაკის ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 15 კმ-ის დაშორებით, მაგრამ არა ტეხურის მარცხენა ნაპირზე, არამედ ცივისა და ხობისწყლის შუამდინარეთში, ზ. დ. 80 მ-ზე. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ რაინეგსი გეოგრაფიული ობიექტების ლოკალიზაციისას ხშირ შემთხვევაში გარკვეულ უზუსტობებს უშვებს, საფიქრებელია, რომ ხურცი ტეხურის ხეობასთან გარკვეულწილად სიახლოვის გამო მართლაც გულისხმობდეს ახლანდ. სენაკის რაიონის სოფ. ხორშს.

## ფოთი და პალიასტომი

ფოთის შესახებ იაკობ რაინეგსი მსჯელობს იმერეთის სამეფოს გეოგრაფიული აღწერისას და აღნიშნავს, რომ პალიასტომის ჭაობიანი ტბის ჩრდილო-დასავლეთით, რიონის მარცხენა ნაპირზე, მდებარეობს ქალაქი ფაზი, ფაძსი, ფაზისი ანუ ფოთი, რაც აღმოსავლურ ყაიდაზე საკმაოდ გაუმაგრებიათ თურქებს და დიდი ყურადღებით იცავენ. იმის გამო, რომ ჰიპოსი და რიონი გაზაფხულზე ნაპირებიდან გადმოდის და წყალდიდობის შედეგად დიდი ჭაობი და ლაფი ფოთის ახლოს იყრის თავს, თურქების გარნიზონი და დანარჩენი მოსახლეობა ავთვისებიანი ციების შიშით ტოვებს ქალაქის ტერიტორიას (რაინეგსი 2002: 128-129). საინტერესოა რაინეგსის ცნობა მდ. რიონის სახელწოდების შესახებ: იბერიის (იმერეთის – ი. კ.) მდინარეთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი და დიდი მდინარე ფაზისი, რასაც ადგილობრივნი ფასს ან ონი-ს უწოდებენ, სათავეს იღებს სვანეთში მდებარე კავკასიონის ერთ-ერთი ქედიდან, რასაც ფასი ეწოდება. ქუთაისის სამხრეთით, იქ, სადაც ფაზისს მარცხნიდან შეერთვის ყვირილა, მდინარე კარგავს თავის სახელს – ფაზისს და იწოდება რიონად, ხოლო ფოთის ქვემოთ რიონი კარგავს თავის სახელს და ზღვაში შესართავამდე ფაზისი ჰქვია (იქვე: 125-126, 129). მოგზაური დასძენს, რომ ფაზისის შესართავიდან სამხრეთ-დასავლეთით ხუთ ვერსზე, ზღვის ნაპირთან დგას ძველი კოშკი და რამდენიმე ვერსის სიგრძეზე შემორჩენილია განადგურებული ციხის კედლის ნანგრევები. ძველი კოშკის სამხრეთ-დასავლეთით, სამი ვერსის მოშორებით, მოგზაური მიუთითებს კუნძულ პალისტას, ხოლო უფრო დასავლეთით – მალთაყვას. პალისტას კუნძულზე ძველად ხოხბების საშენი უნდა ყოფილიყო, რის გამოც მას დღესაც საკაკაბე ანუ ხოხბების კუნძული ჰქვია იბერულ (ქართულ – ი. კ.) ენაზე. ახლა ამ კუნძულზე არც ქათმებს აშენებენ და საქონლის საძოვრადაც კი არ იყენებენ (იქვე: 129).

რაინეგსის ცნობით, ქალაქ ფოთისათვის ხშირი ომი იმართებოდა იბერიისა (იმერეთის – ი. კ.) და გურიის პროვინციის მთავართა შორის, **„სანამ საბოლოოდ თურქებმა არ მიიტაცეს ეს ქალაქი“** (იქვე: 137). ოდიშსა და გურიას შორის საზღვრად რიონი მიიჩნეოდა.არქანჯელო ლამბერტის მიხედვით **„რიონი ჰყოფს აგრეთვე სამეგრელოს და გურიას და ბოლოს წყნარად შეერთვის ზღვას სებასტოპოლის მახლობლად, რომელიც ძველად წარჩინებულ ქალაქს წარმოადგენდა და დღეს კი წყალში ჩანთქმულია“** (ლამბერტი 2011: 23). სებასტოპოლს მისიონერი უწოდებს ფოთს. XVII ს-ის 70-იანი წლებისათვის ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი (1643-1713 წწ.) **„გურიელის ქვეყნის“** ჩრდილოეთ საზღვრად მდ. ფაზისს (რიონს) მიუთითებდა (შარდენი 1935: 42).

ვახუშტის თქმით, **„სამხრით... გურია-ოდიშს შორისი“** საზღვარი მდინარე რიონია. გურიის აღწერისას კი საზღვარს ასე მიუთითებს: **„ჩდილოთ რიონი გურია-ოდიშს შორისი“** (ვახუშტი IV, 1973: 789).

ეს საზღვარი ძალზე პირობითი იყო და როგორც დადიანთა მიერ გაცემული საბუთები მოწმობს, ოდიშის სამთავროს ტერიტორია რიონის მარცხენა მხარეზეც ვრცელდებოდა (ბერაძე 1967: 283; შდრ. ხორავა 1996: 92).

ოდიშის სამხრეთ საზღვარზე მსჯელობისას, უპირველეს ყოვლისა, საყურადღებოა ვახუშტის მიერ ფოთის გურიისადმი კუთვნილების საკითხი, ვინაიდან ფოთის მდებარეობის აღწერა სახელოვან მეცნიერს მოცემული აქვს ნაშრომის სწორედ იმ თავში, რაც გურიის აღწერისადმია მიძღვნილი: **„რიონის თუალზედ, სამხრეთის კიდესა ზედა, არს ფოთის ციხე, რომელი აღაშენეს ოსმალთა... აქ ერთვის რიონს მცირე მდინარე“...** (იქვე: 789-790).

სხვა უადრესი და საამისოდ აუცილებელი ცნობა ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენთვის უცნობია. ასეთი შეხედულება მოგვიანო ხანის ქართველ ავტორებთანაც გვხვდება. როგორც ჩანს, ყველა მათგანი დიდი ისტორიკოსის მითითებას ეყრდნობოდა (Бакрадзе II. 16. მისივე: 1878: 96;. გოგებაშვილი VI, 1958: 625).

გვიან შუა საუკუნეებში შესაძლოა სამხედრო წარმატებების წყალობით და გარკვეული დროით ფოთს გურიის მთავარი დაპატრონებოდა, მაგრამ ეს დროებითი აქტი შეუძლებელია ფოთის გურიისადმი მიკუთვნების დასტურად მივიჩნიოთ.

XIX საუკუნის დამდეგისათვის სამეგრელოსა და გურიას შორის ცილობის საგანს წარმოადგენდა პალიასტომის ტბა და მდინარეებს – ფიჩორსა და რიონს შორის მდებარე ტერიტორია. საზღვარი გადიოდა მალთაყვის შესართავიდან მდ. ფიჩორას გასწვრივ, შემდეგ კი საზღვრის ხაზი უხვევდა ცხენისწყლის რიონთან შესართავისკენ. პალიასტომი გურიის სამთავროს ეკუთვნოდა, მაგრამ სამეგრელოს სამთავროსთან ბრძოლაში ტბაც დაკარგა და რიონსა და ფიჩორს შორის მდებარე ტერიტორიაც (ცინცაძე 1980: 57). სასაზღვრო ხაზი სამეგრელოსა და გურიას შორის სამთავრობო დონეზე დადგენილი არ ყოფილა, როგორც ამას ლანჩხუთის მოურავი, **„პრაპორშჩიკი“** ალექსანდრე მაჭუტაძე აღნიშნავდა გურიის სასამართლოსადმი წარდგენილ თავის 1835 წლის მოხსენებაში (სცსია ფ. 45, საქმე 20). მოურავს საზღვრის დასადგენად ერთგვარი ძიება ჩაუტარებია. ამ მიზნით მას დაუკითხავს როგორც ლანჩხუთელები, ისე ოდიშის სოფელ წალიკარის მცხოვრებნი და ამ ჩვენებათა მიხედვით საზღვრად ფიჩორის ღელე მიუღია (იქვე), მაგრამ სადადიანოს ჯოგი ფიჩორსგაღმა, გურიისკენაც საკმაოდ ყოფილა შეჭრილი. იქვე მოტანილია ლევან V დადიანის (1804-1840 წწ.) განცხადებაც: „აქამდე არა ისმოდა, რომელ ვისმე გურიელთაგანს დავა ჰქონიყო ხსენებულ საძოვართ ალაგზედა“-ო. საარქივო საბუთებით და XIX საუკუნის I ნახევარში შედგენილი რუკების მიხედვით სამეგრელო-გურიის საზღვარი ფიჩორაზე გადის (მსჯელობისათვის იხ. დუმბაძე 1957: 51-52).ამასთანავე, ფიჩორის მარჯვენა მხარეს, ჭალადიდის მიწებზე დავა წარმოებდა გურიის ჭყონიებსა და მეგრელებს შორის.

ერთ საარქივო დოკუმენტში აღწერილია ოდიშის მწყემსთა დარბევა გურულების მიერ. დოკუმენტის მიხედვით თავადი მიქაძე ცდილობს ხე-ტყის გატანას ჭალადიდიდან, მაგრამ დათა ვახტანგის ძე გურიელი არ ანებებს: **„ღომი და სიმინდი არის აქაურების საზრდო და ის მეგრელებს მიაქვს“**-ო, – წერდა იგი ორლოვს 1830 წლის 4 ივნისს (სცსია, ფონდი 45, საქმე 2).

ფოთი შავ ზღვასთან რიონის შესართავთან, ზ. დ. 1-3 მ-ზე მდებარეობს და თბილისს 312 კმ-ით არის დაშორებული. ქალაქს ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით ხობის მუნიციპალიტეტი ესაზღვრება, სამხრეთით – პალიასტომის ტბა და მდ. კაპარჭინა.

ძვ. წ. VIII-VIIსაუკუნეების ბერძნულ წყაროებში ფასიდად//ფაზისად//ფასისად წოდებული ერთ-ერთი დაწინაურებული ზღვისპირა პუნქტი, თავისი მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით უძველესი დროიდან მნიშვნელოვან ქალაქს და ნავსადგურს წარმოადგენდა. ძვ. წ. IV ს-ის ბერძენი ავტორის, ფსევდო-სკილაქს კარიანდელის ცნობით, მილეტელების მიერ დაარსებული ქალაქი ფასისი მდებარეობს ფაზისის მარცხენა მხარეს.

ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი ფაზისის მდებარეობას ასე გადმოსცემს: **„ფაზისის პირას მდებარეობს მისი მოსახელე ქალაქი, კოლხური ემპორიონი, რომელსაც წინ უძღვის მდინარე, ტბა და ზღვა“**. სხვაგან აღნიშნავს: **„ფასისი ერთვის პონტოს. აქვს იმავე სახელის ქალაქი და შორიახლო ტბა“** (ბერძნიშვილი 1969: 135).

ასეთივე ცნობას გვაწვდის V ს-ის ანონიმი გეოგრაფი: **„მდინარის შესასვლელთან, ფაზისის მარცხენა ნაპირზე მოთავსებულია მილეტელების მიერ დაარსებული ელინური ქალაქი ეგრეთწოდებული ფაზისი, რომელშიაც, როგორც ამბობენ, თავს იყრის სამოცი სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ტომი, მათ რიცხვში გადმოცემით იმყოფებიან ინდოეთიდან და ბაქტრიიდან მოსული ბარბაროსები“** (არიანე 1961:86). ფაზისის ნავსადგურში თავს იყრიდნენ ვაჭრები საბერძნეთიდან, რომიდან, ბოსფორიდან, სირიიდან, ირანიდან, ბაქტრიიდან, ინდოეთიდან, სომხეთიდან და ა. შ. (მიქავა 1963: 6-7).

ფაზისის, როგორც დაწინაურებული ქალაქის შესახებ, ცნობები დაცულია ჰესიოდეს, ეპიმენიდეს, პინდარეს, ჰეკატე მილეტელის, ჰეროდოტეს, ქსენოფონტეს, არისტოფანეს,ჰიპოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს,ჰერაკლიდე პონტოელის, აპოლონ როდოსელის, თეოკრიტეს, დიოდორ სიცილიელისა და სხვათა თხზულებებში (ბერძნიშვილი XXIII, 1942: 20; მიქავა 1963: 4-6; პაჭკორია 1967: 10). ბერძნული წყაროების ცნობით „ფასიდის მახლობლად“ ჯერ კიდევ IV საუკუნეში არსებულ ფილოსოფიურ-რიტორიკულ სკოლაში, ანუ კოლხეთის აკადემიაში განათლება მიუღიათ ადგილობრივ მცხოვრებთ და აღმოსავლეთ რომის იმპერიისა და სხვა შორეული მხარეებიდან ჩამოსულ ახალგაზრდებს. ცნობილია, რომ აქ უსწავლიათ კონსტანტინოპოლელ რიტორს ევგენიოსსა და მის შვილს თემისტის, აგრეთვე მჭევრმეტყველებით საქართველოსა და საზღვარგარეთ სახელგანთქმულ ქართველ ფილოსოფოსს ბაკურს. ფილოსოფიურ-რიტორიკული სკოლის არსებობა ადრეულ შუა საუკუნეებში არა მარტო ფოთის, არამედ მთელი კოლხეთის დაწინაურებაზე მიუთითებს (მიქავა 1963: 9-10; პაჭკორია 1967: 32-36).

სახელწოდებას **„ფოთის“** ფორმით პირველად VIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის – ლევონდის თხზულებაში ვხვდებით. ლევონდი ვრცლად აღწერს ამ ქალაქის მდებარეობას და სამხედრო-სტრატეგიულ თუ ეკონომიკურ მნიშვნელობას. პირველი ქართული წერილობითი წყარო, სადაც ფოთი მოიხსენიება, თარიღდება 1074 წლით. ესაა ხელნაწერი, საიდანაც ირკვევა, რომ საბერძნეთიდან საქართველოში დაბრუნებულ გიორგი ათონელს (მთაწმინდელს) ფოთამდე ნავით უმგზავრია, აქედან კი სახედრით გაუწევია ქუთაისისკენ. **„კეთილითა და ჰამოთა ნავითა მოვიწიენით ფოთს“** – აღნიშნავს გიორგი მთაწმინდელი (ჯანაშიაVI, 1988: 272-273; ცხადაია III, 2007: 288-289).

**იგორ კეკელია,**
**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი**

(გაგრძელება იქნება)

**სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" ზუგდიდის ორგანიზაცია თანაუგრძნობს ოჩამჩირიდან დევნილს, ბატონ ბიჭიკო ჭითანავას ძმის**

**ზურაბ ჭითანავას**

**გარდაცვალების გამო**

# მე მაინც მიყვარს ის სასწაული...




დროდადრო მიყვარს ხოლმე ჩემი საკმაოდ დიდი ბიბლიოთეკის **"რევიზია"**, სადაც უამრავი ნაჩუქარი წიგნი იფარება ქაღალდის მტვრით. სწორედ ამ მტვრისაგან წიგნების გათავისუფლებაა **"რევიზიის"** ძირითადი მიზანი, თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ათწლეულების (შეიძლება – ასწლეულებისაც) წინ გამოცემული წიგნი გარკვეულწილად გაბრუნებს წარსულში და კიდევ ერთხელ შეგახსენებს: **"რანი ვართ, საიდან მოვდივართ, საით მივექანებით?!"**. სწორედ ამგვარი ასოციაცია აღმიძრა ერთმა **"წიგნმა-ასფურცელამ"**, სათაურით "**მე მაინც მიყვარს ის სასწაული...**" რომლის ავტორმა შემოქმედებით სიმწიფეს მაშინ მიაღწია, როცა ის-ის იყო თავი დააღწია სიყმაწვილის ასაკს, მაგრამ...

მე ამ ბავშვს (მაპატიოს მისმა ნათელმა სულმა, რადგან მისი თანატოლები ჩემი შვილისშვილის ტოლები არიან და მუდამ ბავშვებად დარჩებიან ჩემთვის) პირადად არ ვიცნობდი – მისი შემოქმედებით გავიცანი, ისიც მისი ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ, როცა მისმა მამამ, ჩემმა მეგობარმა ბატონმა ბაკურ გულუამ საკუთარი პირმშოს – დათა გულუას ავტორობით გამოცემული ლექსების კრებული მისახსოვრა შემდეგი წარწერით: **"ბ-ნ როლანდს, ღრმა პატივისცემითა და იმედებით, ჩემი დათასაგან"**.

არ შეიძლება არ შეგძრას ამ რამდენიმე სიტყვამ, რომელიც მამაშვილობის დუღაბითაა შეკრული და სასტიკად ამარცხებს სიკვდილს, სამუდამოდ განშორების გარდაუვალობის სუსხიან განცდას.

ახლა ოცდაათი წლისა გახდებოდა დათა გულუა, მაგრამ 18-წლიანი ცხოვრების ბარიერი ვეღარ გადალახა – ავტოავარიას ემსხვერპლა...

ბევრი რამ კი მოასწრო და ღირსეული ადგილიც დაიმკვიდრა დიდ ქართველ პოეტთა გალერეაში. მისი პოეზია ითარგმნა დანიაში, შვედეთში, ესტონეთში, ბულგარეთსა და რუსეთში. საქართველოს მწერალთა კავშირის გადაწყვეტილებით მისი ლექსები შეიტანეს **"ქართული პოეზიის ანთოლოგიაში"**. 2009 წლის აგვისტოში მწერალთა და მთარგმნელთა საერთაშორისო ფესტივალზე მას მიენიჭა ოქროს მედალი – **"სიტყვიერების დიდოსტატს"** – მაღალი პროფესიონალიზმის, ლიტერატურისა და ნაციონალური კულტურის განვითარებისა და წინსვლის საქმეში შეტანილი წვლილისათვის.

მსოფლიო შემოქმედების ისტორიაში არც თუ ხშირია შემთხვევა, რომ 18 წლის ლირიკოსს ასეთი ღირსება ხვდომოდეს წილად!

დათა გულუა მისტიკოსი პოეტია, პესიმისტი ლირიკოსი, რომლის პოეტური ჩანგი მხოლოდ სევდიან მელოდიას გამოსცემს. ვერავინ შემირისხავს კალამს, თუ ამ ყმაწვილკაცს მე დიდ ქართველ პოეტ პესიმისტს ტერენტი გრანელს შევადარებ – არა მხოლოდ შემოქმედებით, არამედ უბედობითაც!!

სწორედ მისტიკური და საკუთარი ბედისწერის ავი განჭვრეტაა მისი მიმართვა ბედი მწერალისადმი:

**"მე დავიბადე, ვიშვი, დედაო,**
**მე შენი სიტყვა, ლოცვა მაფერხებს,**
**საიდან მოხველ ბნელო სევდაო,**
**საით მიჰქრიხარ, სით მიმაჭენებ?"**

რატომღაც მეგონა, რომ უკიდურესი ეკონომიკური გაჭირვება და შიმშილი გახლდათ შემოქმედში პესიმისტური სულისკვეთების გაძლიერების იმპულსი. განა სწორედ შიმშილმა არ გამოუხრა გულ-გვამი ტერენტი გრანელს და ნიკო ფიროსმანაშვილს (სამწუხაროდ, სხვა მრავალ შემოქმედსაც), რაც წითელ ხაზად გასდევს ლექსის თითოეულ პწკარს თუ ფუნჯის ყოველ მოსმას?! მაგრამ, როგორც ჩანს, შემოქმედებითი ორიენტაცია ხელოვანში ყალიბდება არა მიწიერი შთაგონებით, არამედ კოსმიური ძალების ზეგავლენით, რადგან დათა გულუას არასოდეს განუცდია მატერიალური გაჭირვება – იგი საკმაოდ ძლიერი ოჯახისშვილი გახლდათ და თითქოს გაუგებარია მისი ამონაკვნესი ამქვეყნიურ ტკივილზე:

**"ჩვენ ხომ ორნი ვართ გალაქტიკაში,**
**ორი უცვლელი თეთრი სისტემა,**
**მე და ტკივილი, ტკივილი ჩემში**
**და უკვდავების მუქი დილემა"...**

მაინც რა ტკივილზე ოხრავს პოეტი? რომელი ტკივილი უკარგავს მას მოსვენებას, რომელიც გალაქტიკაშიც კი ვერ დატეულა?

ან:

**"დღეს ხომ ღამე ჩვენი ყრუა,**
**ნამთვრალევი, მშიერი,**
**მოატეხა მთვარეს ყუა,**
**მისცა ნამგლის იერი.**
**ისევ მესმის ლადოს ჰანგი**
**და მაჩაბლის ღამე დგას.**
**ტრიალებდა ყრუდ ხაფანგი,**
**ბედმა მტვერი გალექსა..."**

სიყვარულია ყველაფრის თავი და თავი – სიყვარული ტანჯვაცაა და ნეტარებაც, მაგრამ დათა გულუას შემოქმედებაში სასიყვარულო განცდა კუმულირებულია არა რომელიმე პიროვნების, არამედ კოსმიური სამყაროსადმი, სულიერი სიმაღლეებისადმი, ყოფიერების ამაოებისადმი, ყოველივე შეუცნობელისადმი. იგი ჭარმაგი შემოქმედის სიჩაუქით ახერხებს უჩინარისა და ხელშეუხებლის მატერიალიზებას და – პირიქით...

მისტიკა განა სხვა რამეა?

დათა გულუამ თითქოს წინასწარ განჭვრიტა თავისი აღსასრული, როცა 2003 წლის 20 აგვისტოს შექმნილ ლექსში **"დილა – ქალი სეტერი"** წინასწარმეტყველურად ჩაწერა თავზარდამცემი სისხლიანი სტრიქონები:

**"და ჩვენ დაგვკრძალეს: სიყვარული, მე, მარტოობა,**
**მოვიდა დილა ნადირობის უცხო სეტერად,**
**სიცოცხლის ტირეს ახლა სჭედდა**
**საფლავის ქვაზე**
**მზე გალაქტიკის, მზე დემონთა,**
**სხვა et setera..."**

ამ ამბიდან ერთი კვირის თავზე გადაინაცვლა დათა გულუამ ზეციურ საქართველოში...

მისტიკა განა სხვა რამეა?

სევდა მიმძიმებდა გულს, როცა ამ სტრიქონებს ვწერდი. ამბობენ, მელანქოლიურობა ასაკოვანი ადამიანის ხვედრიაო. შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ მელანქოლია არა მხოლოდ სულიერ სისუსტეს ნიშნავს, არამედ გულის სითბოსაც, რადგან ძნელია შეურიგდე იმ აზრს, რომ უაზრო სიკვდილი ერს გამოაცლის იმედისმომცემ ახალგაზრდა შემოქმედს, რომელმაც ვერ მოასწრო ფრთების გაშლა და თავზარდამცემი ნიჭის გადმოღვრა იმ ფარატინა ფურცელზე, რომელსაც საუკუნეთა მანძილზე არ უწერია გახუნება!

დიახ, დათა გულუას ტრაგიკული აღსასრული ის ნაიარევია, რომელიც ერის სულს ამჩნდება უმძიმეს ტკივილად და შეხორცება არასოდეს უწერია!

**როლანდ ჯალაღანია,**
**"აია"-ს და "ფაზისი"-ს აკადემიების წევრი**

# საწვავის ბაზარზე კარტელური გარიგება დადასტურდა!

კონკურენციის სააგენტომ ნავთობკომპანიები **„კონკურენციის შესახებ"** კანონის დარღვევაში დაადანაშაულა და დააჯარიმა კიდეც. მთლიანობაში ჯარიმის მოცულობა 55 მილიონ ლარს აღწევს. ახლადშექმნილმა უწყებამ ბოლოს და ბოლოს დაადასტურა ის, რისი ეჭვიც მომხმარებელს მუდმივად ჰქონდა, ხოლო პრესა წლების განმავლობაში წერდა.

სანქციები დაეკისრა ხუთ მსხვილ ნავთობკომპანიასა და სამ ეკონომიკურ აგენტს, რომელთაც მჭიდრო ურთიერთობები გააჩნდათ **„მსხვილ ხუთეულთან"**. ერთ-ერთი მათგანია **„ვისოლი"**, რომელიც კონკურენციის სააგენტომ 10.426.393 ლარით დააჯარიმა. „ლუკოილის" საჯარიმო თანხა 4.740.260 ლარია, **„რომპეტროლს"** – 10.885.806 ლარის გადახდა მოუწევს, **„გალფის"** შემთხვევაში ეს თანხა 11.267.384 ლარია. კონკურენციის სააგენტომ ყველაზე მეტად **„სოკარი"** დააჯარიმა, რომელსაც 14.381.385 ლარი დაეკისრა.

კონკურენციის სააგენტოს ხელმძღვანელის გიორგი ბარაბაძის თქმით, დასკვნა მოცულობითია და მოიცავს 1100 გვერდს, რომელიც 50 ტომის მასალას ეფუძნება. კვლევის დასასრულებლად სააგენტოს 10-თვიანი ვადა მიეცა, თუმცა მან მუშაობა ვადაზე ადრე, 8 თვეში დაასრულა. შედეგებიდან გამომდინარე, სააგენტო მივიდა დასკვნამდე, რომ 2008-2014 წლებში ბაზარზე ირღვეოდა კონკურენციის დაცვის პრინციპი, მოქმედებდა ხელოვნური ბარიერები და შეთანხმებული ფასი.

კონკურენციის სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, გამოვლინდა **„კონკურენციის შესახებ"** საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის **„ა", „ბ"** და **„გ"** ქვეპუნქტების დარღვევის ფაქტი, რაზეც შესაბამის ეკონომიკურ აგენტებს, ხსენებული კანონის 33-ე მუხლის გათვალისწინებით, ჯარიმა დაეკისრათ.

ნავთობპროდუქტების რეალიზატორები კონკურენციის სააგენტოს დასკვნას სავარაუდოდ, გაასაჩივრებენ. კომპანიებს მიაჩნიათ, რომ კონკურენციის შესახებ კანონი არ დაურღვევიათ.

**„ნავთობიმპორტიორები თვლიან, რომ მათ კონკურენციის შესახებ კანონი არ დაურღვევიათ და თუ იქნება მათთვის არასახარბიელო, არადამაკმაყოფილებელი დასკვნა, ისინი ეცდებიან ინდივიდუალურად მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილება და გამოიყენონ ყველა სამართლებრივი ფორმა, რომ აქტიურად გააგრძელონ ბრძოლა საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად. საჯარიმო სანქცია არის ძალიან დიდი და სერიოზული, ბრალდებაც საკმაოდ მძიმეა"**, – აცხადებს ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილი.

ახალგაზრდა ანალიტიკოსთა დარბაზის წარმომადგენელი ვახტანგ ჭარია კი კონკურნეციის სააგენტოს დასკვნას პოზიტიურად აფასებს და თვლის, რომ კომპანიების შეთანხმებულად მოქმედების შესახებ არსებული ეჭვები საბოლოოდ გამართლდა.

**„მივესალმები ასეთ გამოძიებას, რომელმაც დაადგინა სიმართლე. ეჭვი გვქონდა, რომ ასეც იყო. ნავთობკომპანიები აქამდე შეთანხმებულად მოქმედებდნენ და ამიტომ იყო საწვავზე მაღალი ფასი. ამიერიდან, თუკი შეთანხმებული მოქმედება აღარ იქნება, ისინი მომხმარებელზე ორიენტირებულნი გახდებიან.**

**კონკურენცია თავისთავად დაარეგულირებს ბაზარს, თუ, რა თქმა უნდა, არ მოხდება გარიგებები. იმის გამო, რომ ეს კომპანიები დაჯარიმდნენ, არ მგონია ნავთობის ფასი მაღალ დონეზე შენარჩუნდეს.**

**რაც შეეხება ნავთობკომპანიებისთვის დაკისრებულ ჯარიმას, ეს თავისთავად პოზიტიურია, რადგან თანხა, შესაძლოა, საზოგადოებრივ სიკეთეს მოხმარდეს"**, – განაცხადა ვახტანგ ჭარიამ.

უშუალოდ ნავთობიმპორტიორთა მხრიდან რაიმე სახის კომენტარი ჯერჯერობით არ გაკეთებულა.

**ბექა დანელია**

## პოეზიის კუთხე

### აია

ბორჯღალით მოვქარგე კვირბები ეფუთის,
დავკარგე,
ვემხილე,
მზეს ყოველ ვუთხარი,
აიას მიარწევს თანაფა თუთაპირ,
ნაკორიბანტალს აღარა უხარის,
ჩემს ონძეს შუაგულ
კაჟიქვა ვიძიე.
ჟამს ამად უტყვი ვარ, არაით ენამზე.
ნძე მალიმურმა შევმართე ლაბაშა.
ჯერ კიდევ ვკიჟინებ წარღვნამდელ ენაზე.
ნისლი დევს ეგეოსს,
გემიწა ცივმწარებს.
წარბდახრილ შევყურებ ზეზეულმწუხარი.
აჰანგდა ნენანა სიმღერით ნეშკარის.
კრეტასპირ ატირდა კოლხური ფუტკარი.
ფარულად გმიოდა
ქვესკნელის ძახილი.
შარაზე დიოდა ეშმაკის მარხილი.
ქრის – პოლემიკა,
აქაო – კეთილი?..
წვიმს რომანტიკა ძარღვებში ფლეთილი.
გაჰყევით სიბნელეს სიავის შვილებო;
აქა გაქვთ რა ხელი,
ქვედაგეშილებო.
სატანის ტაიჭებს
სადავე უკავეთ.
ეჰეი, გაჰქუსლეთ! ოღონდა უკანვე!
დაიხით,
დაიხით!
აია იხევა.
(ხარის ტყავს გავახვევ,
გადარჩეს იქნება).
ვაბნიე ანბანი, სიმხდალედ ნუ მითვლი.
ვცოდვილობ განგბანო მოთმენით, დუმილით.
ნათელს ვძენთ დაბინდულს, თუ კი შენ წამოხველ,
გაც-გაიმს შეჰბედე,
იბერო, უარი.
ვიხილავთ ცამთოვარს ყოველი უხარის,
ჩავიცმევთ
წყანისტოტ დაკიდულ სამოსელს.
ნეტავ, რას გვპირდება სამხილი საწყისის.
თვლემს
ჭეშმარიტება და ოქროს საწმისი.

**ჯამბუ ბებია**

### "დეკოჩუა" – ირო თქუანს ნანა,

"დეკოჩუა" - ირო თქუანს ნანა,
ამარ, ამარ მავთოშკვითა წანა.

პიორეფი გემწურღვაფ დოლოს,
ეკონია აფუნი რე ხოლოს.
ამდღა შხვა რე თე გურიში მანგი,
სოლე მორთი, მუჭო გუმახანგი.

ათე გური მუ ბორზალით ჭყოლი,
ქიწომზადე ოდაბადეშ ჭყონი.
ორსანტობა ქგდმოგურე კინი,
ღურადღაშახ ირო დასაკინი.

დო ვათქუა: "უსქანობათ ბღური",
ქინმოქუნი აკა ჩილამური.

**გიორგი ხულორდა**

2014 წანა, 3. მელახი.
ოფუტე სალხინო

# პროკურატურის საყურადღებოდ



***2014 წლის 29 იანვარს ქართული ტელეარხების მიერ გადაცემულ სიუჟეტებში 2009 წლის 5 მაისს დაბა მუხროვანში მომხდარ მოვლენებზე, ალბათ, ყველა მაყურებლისთვის გამაოგნებელი იყო შინაგან საქმეთა იმჟამინდელი მინისტრის სიტყვები: "ორი გვამი მჭირდება. მომიტანეთ ეს ორი გვამი. ვსიო. პრემია დიდია!". რას გულისხმობდა ივანე მერაბიშვილი ამ სიტყვებში, შემდგომ გავერკვევით, ჯერ კი დავადგინოთ, რა მოხდა მუხროვანში იმ დღეს.***

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მუხროვანში განლაგებული სამხედრო ნაწილის მოსამსახურეებმა სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად მოაწყვეს ამბოხება და დაუმორჩილებლობა გამოაცხადეს.

ბრალდება ძალიან მძიმეა და ამიტომ საჭიროა, ბრალდების ყოველი სიტყვა ზუსტად განისაზღვროს, კონსტიტუციასა და კანონებთან შესაბამისად. პირველ რიგში, დავაზუსტოთ მნიშვნელობა სიტყვებისა – **"ამბოხება"** და **"დაუმორჩილებლობა":**

***"ამბოხება"** (იგივე **"აჯანყება"**) – რეაქციული სამხედრო წრეების შეიარაღებული გამოსვლა არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ სახელმწიფო გადატრიალების მიზნით.

***"დაუმორჩილებლობა"** – მეთაურის (უფროსის) ბრძანების შესრულებაზე დაუფარავი უარი ან შეგნებულად მისი შეუსრულებლობა.

პროკურატურის მიერ სამხედროებისადმი წაყენებულ ბრალდებაში **"ამბოხება"** აღნიშნულია, როგორც მომხდარი ფაქტი და ამიტომაც საჭიროა, ჩავიხედოთ და დავადგინოთ, რა ქმედებას მოითხოვს ამ შემთხვევაში კონსტიტუცია.

ძირითადი კანონის 73-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად:

**"თ) ომიანობის თუ მასობრივი არეულობის... სამხედრო გადატრიალების და შეიარაღებული ამბოხების... შემთხვევაში აცხადებს საგანგებო მდგომარეობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში და ამ გადაწყვეტილებებს არა უგვიანეს 48 საათისა წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად";**

და, რადგანაც 5 მაისს ქვეყანაში არ გამოცხადებულა პრეზიდენტის მიერ საგანგებო მდგომარეობა და ეს გადაწყვეტილება პარლამენტის მიერ არ იყო დამტკიცებული, უნდა ვივარაუდოთ, რომ შეიარაღებულ აჯანყებას ადგილი არ ჰქონია.

ე.ი. გამოდის, რომ პროკურატურამ ცილი დასწამა სამხედროებს.

ახლა დავუშვათ, რომ **"შეიარაღებული ამბოხება"** ნამდვილად მოხდა.

მაშინ საგანგებო მდგომარეობის გამოუცხადებლობით სახელმწიფოს მეთაურმა დაარღვია კონსტიტუცია.

ამბოხების შემთხვევაში როგორ უნდა ემოქმედა ხელისუფლებას?

სასწრაფოდ უნდა მოეწვია ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა, ყოველმხრივ შეეფასებინა შექმნილი ვითარება, შეემუშავებინა ამბოხების ჩახშობის კონკრეტული გეგმა, დაენიშნა პასუხისმგებელი პირები მიმართულებების მიხედვით და საერთო ხელმძღვანელი, მიეღო გადაწყვეტილება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ და სხვ.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დაისვას შემდეგი კითხვები:

– შეიკრიბა თუ არა ეროვნული უშიშროების საბჭო, რა შემადგენლობით და რა გადაწყვეტილებები მიიღეს?

– ვინ დაინიშნა შეიარაღებული **"ამბოხების ჩახშობის"** საერთო ხელმძღვანელად, პასუხისმგებელი პირები თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებში?

– რა ძალები და საშუალებები გამოიყენეს აჯანყებულების **"წინააღმდეგ"** და თუ იქნა გაცემული სამხედრო მოსამსახურეებზე სრული საბრძოლო კომპლექტი?

– თუ გაძლიერდა სამთავრობო შენობებისა და სტრატეგიული ობიექტების დაცვა?

– რა ძალები და საშუალებები გააჩნდათ ამბოხებულებს და თუ გაიცა სამხედრო მოსამსახურეებზე სრული საბრძოლო კომპლექტი?

– ამბოხებულებმა თუ გამოიყვანეს ბოქსებიდან (თავშესაფრიდან) მძიმე ტექნიკა და თუ მოხდა მათი მხრიდან თუნდაც გამაფრთხილებელი გასროლა?

– რის საფუძველზე მოუყარეს თავი მუხროვანში სამთავრობო ჯარების საბრძოლო ტექნიკას?

ვინაიდან:

კონსტიტუციის მე-100 მუხლის თანახმად:

**"1. სამხედრო ძალების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი და 48 საათის განმავლობაში შეაქვს იგი პარლამენტში დასამტკიცებლად";**

დაბა მუხროვანში ბევრი სამხედრო მოსამსახურე, ტანკი და საბრძოლო მანქანა იყო განლაგებული, რაც მოწმობს იმას, რომ სამხედრო ძალების გამოყენების ბრძანება გაიცა, მაგრამ საკითხავია, რატომ არ იყო ეს გადაწყვეტილება პარლამენტში შეტანილი დასამტკიცებლად?

ე.ი. აქაც ჩანს კონსტიტუციის დარღვევის კიდევ ერთი შემთხვევა.

მუხროვანთან სამთავრობო ჯარების განლაგებით ჩანს, რომ ტანკებსა და ჯავშანმანქანებს შენარჩუნებული ჰქონდათ სალაშქრო (სამგზავრო) მწყობრი და არ ჰქონდათ დაკავებული საბრძოლო პოზიციები.

არც იქ მყოფ პიროვნებებს შორის შეიმჩნეოდა რაიმე დაძაბულობა ან შიში.

პირიქით – მათ ქმედებაში აშკარად შეიმჩნეოდა აგრესიულობა და დაუოკებელი წყურვილი, სწრაფად გასწორებოდნენ **"მეამბოხეებს"**, რისთვისაც იქ ჩაიყვანეს სისასტიკით განთქმული პიროვნებები.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამთავრობო სტრუქტურები **"აჯანყებულების"** მხრიდან თავდასხმას არ ელოდებოდნენ.

მაშინ რომელ შეიარაღებულ აჯანყებაზეა საუბარი?

ახლა განვიხილოთ ივანე მერაბიშვილის მიერ 2014 წლის 30 იანვარს თავის მართლების მიზნით წარმოთქმული წინადადება.

მერაბიშვილმა განაცხადა, რომ ფრაზაში – **"ორი გვამი მჭირდება, მომიტანეთ ეს ორი გვამი"** – იგულისხმა **"ორი რუსი ინსტრუქტორის გვამები"**, რომლებიც, მისი ინფორმაციით, იმყოფებოდნენ **"ამბოხებულებთან"** და კვალის დაფარვის მიზნით **"აჯანყებულებმა ისინი მოკლეს"**.

ჯერ ერთი, დარბაისელი და ინტელიგენტი ადამიანი მოერიდება ახალგარდაცვლილზე თქვას **"გვამი"**, რადგან ეს სიტყვა ხანდახან ასოცირდება სიტყვებთან – **"ლეში"**, **"მძორი"** და საჭიროების შემთხვევაში წარმოთქვამს სიტყვა **"ცხედარს"**.

და მეორე, რაც ძალიან შემზარავია: წარბიც კი არ შეუხრია, ისე დააბრალა ჭეშმარიტად ღირსეულ ოფიცრებს, კადრის სამხედროებს, ვერაგული მკვლელობა და მერე ვისი? **"მათთან დასახმარებლად მისული რუსი ინსტრუქტორების"**, ე.ი. სტუმრების.

როგორ უნდა გაბოროტდეს ქართველი ადამიანი, რომ სრულიად დაავიწყდეს ქართული ადათ-წესები და ზნე-ჩვეულებანი?!

ნუთუ არ წაუკითხავს ვაჟა-ფშაველას **"სტუმარ-მასპინძელი"**?!

ნუთუ შეიძლებოდა მის უწყებაში, ასეთი რამ მომხდარიყო?

როგორც ჩანს, ისე გადაიღალა სასამართლო პროცესებით, რომ დაკარგა განსჯის უნარი და ზნეობრივად კიდევ უფრო დაეცა.

რაც შეეხება თავის მართლების მიზნით წარმოთქმული წინადადების კიდევ 2 სიტყვას – **"ჩემი ინფორმაციით"**, მან აქ საზოგადოების მოტყუება ძალიან უსუსური არგუმენტით სცადა.

საინტერესოა, ვინ იყო ამ ინფორმაციის მიმწოდებელი – უშიშროების ოფიცერი, რომელიც ოპერატიულად ემსახურებოდა ამ ნაწილს, და რომელიც ვალდებული იყო, მოეხსენებინა ხელმძღვანელობისთვის ნაწილში არსებული ვითარება თუ სხვა?

და, თუ შს სამინისტროში ასეთი **"ინფორმატორების"** ინფორმაციის საფუძველზე დგინდებოდა **"ჯაშუშების"**, **"მოღალატეების"**, **"შეიარაღებული ამბოხების მონაწილეების"** და სხვა **"დამნაშავეების"** ვინაობა, ამიტომ ხომ არ გაჩნდა ქვეყანაში ათიათასობით უდანაშაულო პატიმარი და პრობაციონერი?!

თუ მუხროვანის სატანკო ნაწილს ჩავთვლით ინფორმაციის წყაროდ, **"ცნობების მომპოვებელ"** პიროვნებად ერთადერთ **"ინფორმატორს"**, ხოლო ამ ინფორმაციის მომხმარებლად შს იმჟამინდელ მინისტრს, მაშინ, დაზვერვის დებულების თანახმად, ინფორმაციის საიმედოობის ხარისხი უნდა შეფასდეს არასარწმუნოდ, ვინაიდან **"ინფორმატორი"** ერთადერთი პიროვნებაა, რომელიც ადასტურებს **"ამბოხებას"**, ხოლო თვით **"მომხმარებელმა"** თავისი თავი, უკვე დიდი ხანია, შეაფასებინა სხვა ქვეყნების სპეცსამსახურებს, როგორც სადაზვერვო საქმეში სრულიად არაკომპეტენტური.

გავიხსენოთ თუნდაც **"კოჭოიას"** და **"ენვერის"** საქმეები, აეროპორტის ოპერატორის მიერ ყალბი პირადობის მოწმობის მქონე ყოფილი შს მინისტრის ამოცნობა და სხვ.

აი, ასეთი **"შემოქმედებითი აზროვნების"** მქონე პიროვნებებს ეკავათ უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობები 2008 წლის აგვისტოში და 2009 წლის 5 მაისს.

ცნობისათვის:

1. თუ სადაზვერვო წყაროს, მომპოვებელი და მომხმარებელი ორგანოების საიმედოობა ფასდება სხვადასხვანაირად, ინფორმაციას ენიჭება ყველაზე დაბალი საიმედოობის ხარისხი;

2. საიმედოდ ითვლება ისეთი ცნობები, რომლებიც დასტურდება რამდენიმე წყაროს მიერ ან რამდენიმეჯერ ერთი სარწმუნო წყაროს მიერ დამამტკიცებელი მასალებით და სრულიად შეესაბამება შექმნილ ვითარებას;

3. თუ გავითვალისწინებთ, რომ **"აჯანყებულების"** მხრიდან ტაქტიკური მოქმედების ხერხად მიღებული იქნებოდა თავდასხმა და ვიხელმძღვანელებთ დადგენილი ნორმატივებით, რომლებიც მოითხოვს დაცვის თითოეული გუშაგის მოხსნისთვის 5-10 მეომარს (თავდამსხმელები + მეთვალთვალეები + საცეცხლე უზრუნველყოფის მეომრები), თანაც გააჩნია, სად იმყოფება ეს გუშაგი, მაშინ 500-კაციანი სატანკო ბატალიონი (ქვეითების გარეშე) ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას ნამდვილად ვერ შეძლებდა.

**ალექსანდრე ტოლსტოი**

# გაზეთ "ილორი"-ს რედაქციას

ძვირფასო რედაქციავ, ნება მომეცით, რიგით მოქალაქეს, დევნილს. გლეხს ყველაზე რთულ დროში მივმართო საღად მოაზროვნე ერის შვილებს, იყვნენ უფრო გაბედულები, ხმა აღიმაღლონ მე-21-ე საუკუნის ბოროტების – ფაშიზმის, ომის გამჩაღებლების წინააღმდეგ. მე – 85 წლის ქართველი, ვთხოვ ფუფუნებაში გაზრდილ ბავშვებს: პროამერიკელობას თავი დაანებონ და ნუ აჰყვებიან ამერიკელთა მიერ პროვოცირებულ ანტირუსულ ისტერიას. რუსეთი არასდროს ყოფილა ჩვენი მტერი. პირიქით – ერეკლეს გზამ დღემდე, ავად თუ კარგად, ერთიან საქართველოდ მოგვიყვანა. გთხოვთ, ზურგს ნუ შეაქცევთ ისტორიას, ნუ აიძულებთ რუსებს რომ მიიღონ რადიკალური ზომები, თორემ ვერც ამერიკის, ვერც საფრანგეთის რაკეტები ვერ გვიშველიან, ვერც რიჩარდ ნორლანდი გვიხსნის და ვერც მთავარსარდალი თინიკო.

მე, როგორც მშვიდობისა და შრომის მოყვარე გლეხი, აღშფოთებული ვარ იმით, რომ დღეს საქართველოში გვესმის რუსების გაუთავებელი ლანძღვა-გინება და ცილისწამება. ჩხუბით კი საქმე არ კეთდება და სწორედ ჩხუბისა და რუსებთან კინკლაობის გამო დავკარგეთ იმაზე ბევრად მეტი, რაც მოვიპოვეთ!

რუსებს რომ აგრესორებს ვეძახით, ნუთუ ვერ ხედავთ, რომ ყველაზე მეტი აგრესორი ის თქვენგან მოწონებული ამერიკაა, რომელიც პლანეტის ნებისმიერ რეგიონს აყრის ბომბებს და უამრავ სიცოცხლეს სპობს?!

განა სწორედ ამერიკელებმა არ ჩამოაყალიბეს **"სიკვდილის ლეგიონები"** ისლამურ სამყაროსა და სხვა მრავალ ქვეყანაში?!

ნუთუ ასე ძნელია ყოველივე ამ სიბოროტის დანახვა და გააზრება?!

დღეს კი, იგივე ამერიკელები, ჩვენ გვაქეზებენ რუსების წინააღმდეგ, თავად კი რუსებს **"უძვრებიან"**, რადგან ამ სახელმწიფოს რესურსები სჭირდებათ. ამერიკელებს საქართველოცა და უკრაინაც სჭირდებათ, მაგრამ არა როგორც თანაბარუფლებიანი პარტნიორი, არამედ როგორც საზარბაზნე ხორცი, რუსების წინააღმდეგ საბრძოლველად!

ნუთუ ძნელია ამის განჭვრეტა?

ნუთუ პარლამენტში და მთავრობაში არ იციან, თუ რა შეიძლება მოჰყვეს რუსეთის წინააღმდეგ ასეთ დაუფიქრებელ გალაშქრებას?

გთხოვთ, ქართველებს, ნუ გამოვიყვანთ რუსებს მოთმინებიდან, თორემ, დამიჯერეთ, მავთულხლართები მონაგონი გაგვიხდება...

დღეს სრულიად საქართველომ უნდა იაროს ერეკლეს გზით, თუ გვინდა, რომ ოდესმე მაინც ვიზეიმოთ გამარჯვება!

**გვანჯი დარასელია,**
**ზუგდიდი**

# ასე მწამს და ასე ვიქადაგებ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე!

ამ ინტერნეტსივრცეში და არა მარტო აქ, არამედ, საერთოდ ყველგან, სადაც კი მაქვს ამის წვდომა – გულდასმით ვაკვირდები სიტუაციას, ვეცნობი გარემოებებს, ვაანალიზებ საზოგადოებაში არსებულ განწყობილებათა ასე ვთქვათ რეალურ მოცემულობას და, სამწუხაროდ, გამომაქვს გარკვეული დასკვნაც... სამწუხაროდ-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ ამ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის ცნობიერება ვატყობ ძალიან გაუკუღმართებულია და გულწრფელად ვიტყვი – ეს ძალიან დამაფიქრებელია... ძალიან აელუფხათ ტვინში მავანთ რაღაც-რაღაცეები. აი, მაგალითად, რას ვხედავ: როცა ე. წ. დასავლეთის მცდელობაზე თავს მოგვახვიოს ჩვენი ეროვნული მენტალიტეტისათვის და საერთოდ იდენტობისათვის მიუღებელი ფასეულობები – დაინახავენ რა ანტიგანწყობას და წინააღმდეგობას, ამასთან დაკავშირებით – ეს ოჯახაშენებულები უმალვე იწყებენ აქცენტების გადანაცვლებას და არგუმენტირებული პოლემიკის ნაცვლად თითებს იშვერენ რუსეთის, კრემლის და პუტინის მისამართით... ან კიდევ: საპატრიარქოს შეახსენებენ ხოლმე – აი, შენ ასეთო და ისეთო, შენ არ იყავი აი, იმ დროს, იმ ავადსახსენებელი მოვლენების დროს იმას უჭერდი მხარსო და ა. შ. და ა. შ... გარკვეულ საკითხებში ალბათ მართლებიც არიან, მაგრამ რა გამოდის ახლა – საპატრიარქოს ვეჯინებით?! ან კიდევ, პუტინს და რუსეთის ხელისუფლებას თუ მიუღებლად მიაჩნიათ ერთსქესიანთა ქორწინება და ე. წ. მეხუთე კოლონის პარპაში საკუთარ სახელმწიფოში – ჩვენ აუცილებლად და აპრიორი უნდა საპირისპირო პოზიცია დავიჭიროთ?! ეს რა უბედურებაა მართლა არ მესმის! ეს უკვე დეგრადირების აშკარა სიმპტომია! ამას ფსიქიატრიაში უდავოდ ჰქვია ალბათ შესაბამისი სახელიც!..

ახლა რა მინდა კიდევ ვთქვა: წარსულის, აწმყოს და მომავლის წინაშე პასუხისმგებლობა, ვალდებულება მაიძულებს, საკუთარი სინდისი მაიძულებს, ოდაბადეს სიყვარული მაიძულებს დავაფიქსირო ეს პოზიცია!

ჰოდა, მიმაჩნია, რომ თუ ჩვენ მართლა გვიყვარს ჩვენი ერი და სამშობლო, თუ ჩვენ ადექვატურად აღვიქვამთ არსებულ რეალიებს, თუ ჩვენ მართლა გავაცნობიერებთ თუ რა უაღრესად სახიფათო გამოწვევების წინაშე დგას საქართველო, თუ ჩვენ გონებით, სულით, გულით, გავაანალიზებთ ყველაფერს, – მაშინ უნდა, დიახაც უნდა ავმაღლდეთ ყოველგვარ წყენაზე, ყოველგვარ პირადულზეც... არ გვაქვს სხვა გზა, სხვა არჩევანი! ჩვენ თუ ასე არ მოვიქცევით – არ ვარ ორაკული, მაგრამ დარწმუნებით შემიძლია განვაცხადო, რომ წინ სრული კატასტროფა გველოდება! სრული ეროვნულ-სახემწიფოებრივი ფიასკო! ასე, რომ გვმართებს ადექვატურები ვიყოთ! გვმართებს პრაგმატულობა! გვმართებს ჯერ კიდევ არსებული შანსის ასპროცენტიანი გამოყენება! **„ჯანსულოსავით"** ვამბობ ხოლმე ერთი და იმავეს ძალიან ხშირად, მაგრამ რა ვქნა – ასე მწამს და ასე ვიქადაგებ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე!

თუ არადა, მაშინ, მიდით ჩემო ძვირფასებო! ჩემო კოლხ-იბერნო და საპატრიარქოს ჯინაზე, ევრო-ატლანტიკოსების მოწინააღმდეგეთა ჯინაზე, კრემლის ბინადარის ჯინაზე – მოარღვიეთ, მოშალეთ ყველა დამცავი ჯებირი... და, გლობალიზაციის ცუნამს, ტაიფუნს, გრიგალს, ღვარცოფს, სოდომ-გომორის ცეცხლს, ფერფლს მიეცით ეს ჩვენი ბედკრული კოლხეთ-იბერია! ეს ჩვენი საბრალო საქართველო!!!

**ზურაბ კვარაცხელია**

*დაგვიანებული წერილები!*

# სამართალმა პური დროზე უნდა ჭამოს!!!

***ქალბატონებო და ბატონებო! ამ წერილის დაწერა, დღეს საქართველოს საზოგადოებაში არსებულმა უმძიმესმა, უკიდურესად გაუსაძლისმა სოციალურმა და პოლიტიკურმა ვითარებამ განაპირობა!***

***„რა გითხრათ, რით გაგახაროთ.“ ეს კითხვა, ერის უგვირგვინო მეფემ, დიდმა ილიამ 1887 წლის 31 დეკემბერს რიტორიკულად დასვა! და მართლაც, რა გვაქვს სასიხარულო? ის ხომ არა, რომ ხელისუფლებამ დაჩქარებული წესით, საზღვარგარეთელი პატრონების დაჟინებული მოთხოვნის შედეგად, მიიღო ანტიდისკრიმინაციული (საინტერესოა მანამდე საქართველოში ვის მიმართ ხორციელდებოდა დისკრიმინაცია?) კანონი, ანდა ფანჯიკიძის მიერ „შესრულებული“ „შალახოს“ თანხლებით, „ევროკავშირთან“ასოცირების, გაერთიანება-შეკვეხების, ხეშეკრულებაზე ხელმოწერა? ვაშა და „ურა“! ავშენებულვართ და ვერ გაგვიგია!***

***მართლაც, რა ხდება, ბატონებო? „ევროკავშირში“ იმიტომ შევდივართ, რომ საქართველოში პედერასტების უპრაგონო ბოგინს დაედოს საფუძველი? ბატონო ბიძინა, მახსოვს ჟურნალისტმა გკითხათ, თუ რა აზრის იყავით ერთსქესიანთა ქორწინების შესახებ. თქვენი პასუხი იყო გამაოგნებელი (!) – ჯერ საქართველო არ არის ამისთვის მზად!!!***

***რა, ბატონებო, საქართველო არასოდეს არ იქნება ამისთანა სიბინძურისთვის მზად!!! ჩვენ მართლმადიდებელი ერი ვართ და ამ სიწმინდეებს არასოდეს უღალატებს ქართველი ხალხი!***

ბატონო ბიძინა! 2012 წლის 1 ოქტომბერს თქვენ, საქართველოს მოსახლეობასთან ერთად, საქართველოს თანამედროვე ისტორიაში, დიდი ასოებით ჩაწერეთ ქართველი ხალხის გადარჩენის ფურცელი! მაგრამ, ვაი, რომ წინ ვეღარ წახვედით! კარგად დაწყებული საქმე შუა გზაზე, უფრო სწორად დასაწყისშივე შეაჩერეთ! ანუ ის განაჩენი, რაც საქართველოს მოსახლეობამ ნაცებს და მათნაირ გარეწრებს გამოუტანა, ანუ ქართული „ნიურნბერგი“ არ შედგა! ამაზე ხალხი ითხოვს, და სამართლიანადაც ითხოვს პასუხს! საქართველოში დღეს არსებული, რეალური ვითარებიდან აბსოლუტურად ხართ მოწყვეტილი, ვინაიდან ხალხთან არანაირი შეხება არ გაგაჩნიათ! თქვენამდე მოსული ინფორმაცია არის ან ნახევრად სიმართლე, ანდა შელამაზებულ-გაპარსული! ამას წინათ გაზეთში ამოვიკითხე, – ხალხის საყვარელი მომღერალი, თამრიკო ჭოხონელიძე ამბობდა: მე ბერას ნათლია, ვერ ვახერხებ ბიძინასთან შეხვედრას და სხვა როგორ მოახერხებსო?

აი, სიმართლე თუ გინდათ, ეს არის! ასე, რომ, გამოდით შუშის სახლიდან და გაერიეთ უბრალო ხალხში! ქართველი მეფეები (თქვენ, ჩემი ნათქვამი პირდაპირი მნიშვნელობით არ მიიღოთ და თავი მართლა მეფედ არ წარმოიდგინოთ!) დადიოდნენ ხალხში გადაცმულები, რათა უშუალოდ სცოდნოდათ, თუ როგორ ცხოვრობდა და რა უჭირდა ხალხს! დარწმუნებული იყავით, ხალხისაგან პატივისცემა კიდევ გაქვთ შერჩენილი! ასე რომ, უბრალო ხალხისაგან საფრთხეს ნუ ელით! საფრთხე, რომელიც შეიძლება შეგხვდეთ, მოსალოდნელია მხოლოდ თქვენი გარემოცვიდან, ასე უპრაგონოდ, რომ გააცოცხლეთ ეს მიცვალებული ე.წ. პარტიები – რესპუბლიკელები, "თავისუფალი დემოკრატები" და სხვა წვრილფეხობა!

ანდა, თქვენს მიერ თანამდებობებზე (მინისტრებად) დანიშნული, მდარე განათლების მქონე, უხერხემლო, უგერგილო სუბიექტები რას აკეთებენ?

ან ამავე კატეგორიის, ნამდვილად შემოტენილი, ე.წ. პრეზიდენტი რისი მაქნისია?!

გახსოვთ? სენაკში, რომ გყავდათ ჩაყვანილი საპრეზიდენტოდ წარსადგენად, რა თქვით? მარგველაშვილს თუ აირჩევთ პრეზიდენტად, მაშინ საქართველოს ეყოლება ინტელიგენტი (!?) პრეზიდენტიო! ბატონო ბიძინა, მარგველაშვილია ინტელიგენტი და ზვიად გამსახურდია არ იყო ინტელიგენტი?

აფერუმ თქვენ! „მალადეც“!

მე არ ვიცი თქვენ ვინ და როგორ წარმოგიდგენიათ ინტელიგენტად, მაგრამ აქ რომ ღრმად შეგეშალათ ეს ნაღდია! აქვე ვიტყვი – ეს თავისუფლების ინსტიტუტის ძუძუნაწოვი **„პლასტელინა“,** ჯერ განათლების მინისტრად გაგვიმწესეთ. მან თავის მხრივ, მოადგილედ მოიყვანა თავისივე ბუღალტერი, ხოლო მარგველაშვილის პრეზიდენტად ძალად (!) დანიშვნის, დიახ **დანიშვნის** შემდეგ ეს ქალბატონი, უკვე მინისტრის სავარძელში ჩაასკუპეთ!

**„საიდან სადაო, წმინდა საბაო“!** საინტერესოა, პიროვნებას თანამდებობაზე ნიშნავთ და მის ბიოგრაფიულ მონაცემებს არ ეცნობით? ასე ბრმად შეიძლება თანამდებობების ჩამორიგება? ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ყველაფერი ისე დატოვეთ, როგორც ნაცებმა დაგიტოვათ არეულ-დარეული! განა შეიძლება, ისეთ ღარიბ ქვეყანას, როგორიც საქართველოა, ჰქონდეს ისეთი სამი სამინისტრო, როგორებიც არის ევროინტეგრაციის(?), დიასპორის(?) და შერიგების(??). ნუთუ არ შეიძლება, რომ ესენი დეპარტამენტების სახით გააერთიანოთ საგარეო საქმეთა სამინისტროში, ოღონდ გამოცდილი, და არა ფანჯიკიძე-ბერუჩაშვილი-სანიკიძე-ზაქარეიშვილებისნაირი შემთხვევითი მინისტრების ხელმძღვანელობით. ასეთი ლაფსუსები, სამწუხაროდ, ბევრი გაქვთ! „მოყვარეს პირში უძრახეს“ პრინციპიდან გამომდინარე, მე, ჩემს სათქმელს, ჩემი ასაკის გამო (80 წლის ვარ), ბოლომდე გეტყვით! და ამ ნათქვამში საჩემო (ღმერთმა დამიფაროს) მისხალიც არ იქნება!!! სხვანაირად ჩვენი ურთიერთობა ყველანაირად გამორიცხულია, ვინაიდან მე თქვენთან არაფერზე, პირადულზე სათხოვნელად არ მოვალ (ანდა ვინ მომიშვებს?). 80 წელია თბილისში (დაბადებიდან) ვცხოვრობ და, ღმერთის წყალობით, ჩემი ცხოვრების ჭაპანს შეძლებისდაგვარად ვეწევი. არ ვარ მოვლენებისადმი შორიდან მაყურებელი კაცი. ვცდილობ, ვიყო საზოგადოების აქტიური წევრი, ვემსახურო სამშობლოს ჩემი შესაძლებლობების ფარგლებში! **„სამშობლო, დედის ძუძუი არ გაიცვლების სხვაზედა“.** ვაჟას ამ პრინციპით გავზარდე სამი ვაჟი! ორის სიცოცხლე აფხაზეთის უბედურებებმა შეიწირა! ბარემ აქვე ვიტყვი: საქართველოში, როცა იუდა შევარდნაძემ, საზღვარგარეთელი პატრონების წყალობით მეორედ მოყვანის (1992წ) შემდეგ, ზვიად გამსახურდიას კანონიერი მთავრობის დამხობით, უკანონოდ, ხელთ იგდო ქვეყნის მართვის სადავეები, ქვეყანაში დაიწყო ენით აუწერელი საშინელებები! ხალხის ძარცვა-დაპატიმრებები, ოღონდ არა ისეთი მასშტაბით, როგორც სააკაშვილის რეჟიმის დროს იყო!..

საქართველოში დათარეშობდა განუკითხაობა და სიკვდილი გვარდიისა და **„მხედრიონის“** სახით! იყო სამეგრელოს ხუთგზის, ენით აუწერელი ეგზეკუცია! აი, რას მღეროდნენ მაშინ შევარდნაძის **„არწივები“: „ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და რაჭა, ყველა ჩემი სამშობლოა, სამეგრელოს(!) გარდა.“**

როგორ მოგწონთ? როდესაც საქართველოში გააქტიურდა ეროვნული მოძრაობა, ჩემი ოჯახიც იღებდა მოკრძალებულ წვლილს! შემდეგ იყო 1989 წლის 9 აპრილი. არც იქ გამოვკლებივართ! და აი, დადგა ნანატრი 1990 წლის 28 ოქტომბერი. ჩატარდა პირველი, მრავალპარტიული არჩევნები! გაიმარჯვა ქართულმა სულისკვეთებამ! 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმის საფუძველზე, საქართველოს კანონიერად არჩეულმა პრეზიდენტმა, ზვიად გამსახურდიამ, 1991 წლის 9 აპრილს გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა! არჩევნებშიც და რეფერენდუმშიც, აქტიურად მონაწილეობდნენ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა! იმის მაგივრად, რომ საქართველოს მოსახლეობას ეცხოვრა ადამიანურად, თავი წამოყვეს შინაურმა თუ გარეულმა, ყველა ჯურის გარეწრებმა, შევარდნაძის **„თამადობით“.** ამის შემდეგ იწყება საქართველოში უბედურებების კასკადი! 1992 წლის 14 აგვისტოს, აფხაზეთში დაიწყო ის, რაც არ უნდა დაწყებულიყო! დაიწყო ძმათამკვლელი ომი! საკუთარ ქვეყანაში (ალბათ სააკაშვილმა თავის გამზრდელ-მასწავლებელს მიბაძა და მანაც იგივე სამაჩაბლოში გაიმეორა!). იღუპებოდა საჯიშე ახალგაზრდობა! ყოველივე ამის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი იყო და დღესაც არის ზოგიერთებისათვის მეგობრად (!?) წოდებული აშშ, თავისი გენერალ-გუბერნატორი-ელჩით ამხ. ნორლანდით! ყველა ქვეყანაში, სადაც კი შევიდა აშშ, ყველგან დააყენა ცრემლის და სისხლის ტბები! ამერიკელები თავად არ მონაწილეობენ ომებში – სხვათა ხელით ღვრიან სისხლს! საინტერესოა, რაში ხედავთ ზოგიერთები ამ სხვისი სისხლით გაუმაძღარ ამერიკელებში მეგობარს? ანდა რას ეძახით მეგობრობას? იმას ხომ არა, ამერიკელი რომ გეტყვის: მე შენი მეგობარი ვარო, სინამდვილეში კი გეპყრობა როგორც ჩამორჩენილი ქვეყნის, მდაბიოს! ამ დროს, ის შენზე არაფრით მეტი არ არის! პირიქით მასზე ბევრად მაღლა დგახარ ისტორიით! კულტურით! ინტელექტით! მინდა ვკითხო იმ სახელმწიფო მოხელეებს, ყოფილს თუ ახლანდელს: ასეთი მონური მორჩილება ნუთუ არ მოქმედებს თქვენს თავმოყვარეობაზე, თუ იგი საერთოდ გაგაჩნიათ?

ნუთუ არ გრცხვენიათ გარშემომყოფების?

ხომ არ დადგა დრო, რომ ამერიკელებს ყველა ჩეჩმის გახსნაში არ მიაღებინოთ მონაწილეობა? თუ ელჩია, იყოს ჩვეულებრივი ელჩი, როგორც ყველა სხვა! კომუნისტების მმართველობის პერიოდში არ ყოფილა ასეთ ვასალურ მდგომარეობაში საქართველო! ჩვენ, ჩვენს სათქმელ სიტყვას ყოველთვის ვამბობდით და ვამბობდით ყოველთვის ხმამაღლა! იმიტომ, რომ ჩვენს სიტყვას მაშინ ფასი ჰქონდა!

რა ვქნა, სათქმელი ბევრია!

ბატონო ბიძინა, ყველა წინადადებაზე ალავერდს თქვენთან გადმოვდივარ, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ სააკაშვილის რეჟიმის ჩაჩოჩება თქვენ დაგევალათ (!), რა ხუთიანზე შეასრულეთ კიდეც! სააკაშვილზე აქვე მოგახსენებთ რამოდენიმე სიტყვას. მივმართავ ისტორიკოსად (?) წოდებულ გ. ალასანიას და მის პირმშოს, ამჟამად ამერიკა-ევროპაში **„მოხეტიალე ფორვარდივით“** მობორიალე სააკაშვილს: თუკი, მათი თქმით, თურქეთი-ჩვენი მეგობარი ქვეყანა იყო და დღესაც მეგობრად რჩება (?), მაშინ რატომ არ შედიან ამ მეგობართა სიაში ირანი, სადაც, თურმე ქართველები ფერეიდანში 300 წელია სულიკოს მღერიან (?!), არაბები, მონღოლები?

ღმერთმა არ გამოგილიოთ, პირადად თქვენ, ეგეთი მეგობრები!

მეტს მაინც არ იმსახურებთ!

**„განათლებულო“** სააკაშვილო, საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმი, რომ გახსენი თბილისში, შენთვის ვინმეს ისტორიის ანა-ბანა რომ ესწავლებინა, მაგისთანა სისულელეებს ალბათ არ ჩაიდენდი! ალბათ შენს აღსაზრდელად ვერ მოიცალეს!

მიშა, შენი ამერიკელი პატრონებისაგან გულმოცემულმა, რომ დაიწყე პუტინისა და რუსეთის გინება, რაც საქართველოში უბედურებები ხდებოდა და ხდება, მაგ ამერიკული (!) პოლიტიკის ბრალია! შენ, რომ ელემენტალური წარმოდგენა გქონოდა ილია ჭავჭავაძის პიროვნებაზე და მის შემოქმედებაზე, ჩვენ დღეს ამ დღეში არ ვიქნებოდით! წაიკითხეთ მისი წერილი – „ასი წლის წინათ“ და გაიგებთ რუსეთია საქართველოს მეგობარი, თუ აშშ!

და კიდევ, თქვე ურწმუნოებო, რატომ იჩემებთ პაპზე მეტ კათოლიკობას? თქვენ ყველა ერთად აღებული მთელი სანაცეთი, ჩვენი უწმინდესი პატრიარქის ერთი თმის ღერადაც არ ღირხართ! მასზე დიდი ქართველი დღეს, დედამიწის ზურგზე არ დაიარება! ასე რომ ყური მიუგდეთ მის ქადაგებებს, იქნებ ეგ დაბნელებული გონება ცოტა მაინც გაგინათდეთ! გაიგონეთ?

ეხლა დავუბრუნდეთ ზემოთ დაწყებულ თემას, რეჟიმის შეცვლასთან დაკავშირებით! ეს აზრი ძალიან ინტენსიურად მუსირებს საზოგადოებაში. როდესაც აშშ-ს სააკაშვილი ამოუვიდა ყელში და გადაწყვიტეს მისი მოცილება, მოგადგნენ თქვენ, ვინაიდან ნაცების შიდა და გარე სამზარეულოს შესანიშნავად იცნობდით და იცნობთ! აქედან გამომდინარე, თქვენ აღგითქვეს ყველანაირი თანადგომა! აქვე დაგავალეს იმ მკვდარი სუბიექტების (პარტიების) რეანიმირება, რომლებიც ზემოთ დავასახელე! მაგრამ ისინი შეცდნენ. არ ეგონათ თუ ხალხის აღშფოთება ასეთი მკვეთრი იქნებოდა! შეეგუენ ნაცების დამარცხებას, მაგრამ ბოლომდე არ გაიმეტეს და არჩევნებში 40% მაინც დაგაწერინეს, თან გითხრეს, რომ ცოტა ფაქიზად მოეპყარითო! და აი მივიღეთ ის, რაც არავითარ შემთხვევაში არ აძლევდა ხელს ქართველ ხალხს და საქართველოს მოსახლეობის დიდ უმრავლესობას! ნაცები გამოცოცხლდნენ, იმ დონეზე, რომ, ლამის არის ტელევიზიით მკვდარი და ცოცხალი აგინონ ხალხს. გამკითხავი კი არ ჩანს! ხალხში დუღილის ტემპერატურა მატულობს! მოთმინების ფიალა ივსება! თუ გადმოვიდა, მერე გვიან იქნება თითზე კბენანი! ხალხი თუ გამოვიდა გარეთ, მერე ისე აღარ გააკეთებს, როგორც გააკეთა 2008 წლის 20 იანვარს! მისაზღავს ყველას მიუზღავს – მისხალ-მისხალ!

და ბოლოს, ბატონო ბიძინა, მთავრობის დაკომპლექტებაში ორი ბრწყინვალე ნაბიჯი გადადგით, ერთი ის რომ საქართველოს პრემიერ მინისტრად დანიშნეთ შესანიშნავი ახალგაზრდა კაცი, ირაკლი ღარიბაშვილი (ნუ გაწირავთ ამ ახალგაზრდა ყმაწვილს, ის ამას არ იმსახურებს!) და არა ნაკლებ ღირსეული პიროვნება, ჯანდაცვის მინისტრად – დავით სერგიენკო! დიდი ვაჟა ბრძანებს: **„ლამაზად შვილის გამზრდელი, დედა მიცვნია გმირადა“.** მათმა მშობლებმა უნდა თქვან – შვილები გავზარდეთო!

ბატონო ირაკლი! თქვენ, ამ ახალგაზრდა კაცს, ძალიან მძიმე ტვირთი დაგაწვათ მხრებზე, ტვირთი, რომელსაც ჰქვია საქართველოსთვის თავის შეწირვა! არ შედრკე! ეს ლელო შენი გასატანია, შვილო! ისეთი კერკეტი კაკალი სჩანხარ, ყველაფერს შესძლებ! გვერდში გიდგას ერის სულიერი მამა, უწმინდესი და უნეტარესი, ილია მეორე და საქართველოს ყველა ჭეშმარიტი მოქალაქე! ეხლა მინდა გთხოვოთ! პირველი, სკოლებს დაუბრუნეთ ძველი დასახელება – საშუალო! გადაიყვანეთ ისევ 11-წლიან სწავლებაზე! სკოლებში დააწყებინეთ საქართველოს ჭეშმარიტი (რომელიც **„ასავალ-დასავალმა“** გამოაქვეყნა) ისტორიის სწავლება! აგრეთვე სკოლებმა დაუყოვნებლივ დაიწყონ რელიგიის ისტორიის (ყველა სარწმუნოების, ზედმეტი ცოდნა არავის აწყენს!) სწავლება! აგრეთვე, მამა-შვილურად გთხოვთ, აღადგინეთ ის სახელმწიფო სიმბოლიკა, რომლითაც გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, 1918 წლის 26 მაისს! და საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენა, 1991წ 9 აპრილს! ასევე, უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება – საქართველო არ გაწევრიანდება არცერთ სამხედრო ბლოკში! ასე, რომ ჩვენ არაფერი გვესაქმება „ნატოსთან“! და ბოლოს, ნაცების პარტიული ატრიბუტიკა მაინც მოგვაცილეთ! და რაც მთავარია საქართველოს ღერბზე შეაბრუნეთ წმინდა გიორგის გამოსახულება!

უმორჩილესად გთხოვთ! შემოაბრძანეთ დიდი დავით აღმაშენებელი საქართველოს დედაქალაქში – თბილისში! (მადლობა უფალს, ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმა გამოთქვა სურვილი, ჩვენი დიდი მეფის, დავით აღმაშენებლის ძეგლის თბილისის ცენტრში გადმოტანის შესახებ!) ასევე, ქუთაისში აღადგინეთ ნაცების მიერ აფეთქებული დიდების მემორიალი! გორს, და შესაბამისად საქართველოს დაუბრუნეთ დიდი სტალინის ძეგლი! არ იქნება ურიგო, თუ შესაბამის სამსახურებს დაავალებთ საკითხის მომზადებას, 1990 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით არსებული, საქართველოს ეროვნული ქონების ნაციონალიზაციის შესახებ! რას ან ვის ელოდებით? რატომ არ ინტერესდებით ამ ეგრეთწოდებული **„ასო“**-ებით? ვინ არიან და რითი სულდგმულობენ? ვინ და რატომ აფინანსებს? საქართველოს საკეთილდღეოდ, რომ არავინ არაფერს გაიღებს, ეს უდავო ჭეშმარიტებაა! დროა მათ ასე უპრაგონო პარპაშს ბოლო მოეღოს! სასწრაფოდ გამოსაკვლევია ყოველივე! მგონი არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ **ასო**-ებსა და ცისფერებს შორის მხოლოდ ერთი სხვაობაა, ცისფერები საკუთარი სიამოვნებისათვის იღვწიან, ხოლო ასოები კი, მხოლოდ გასამრჯელოსათვის, ანუ ფულისათვის! სხვა ინტერესი მათთვის არ არსებობს!

ბატონო ირაკლი! თქვენ საქმის კურსში ბრძანდებით, დარწმუნებული ვარ! რატომ არის ეს ფრიად საქვეყნო და საშური საქმე შეჩერებული, რასაც ჰქვია სასმელი წყლის მოპოვება-გასაღებასაქართველოში, რომელსაც სათავეში უდგას ბრწყინვალე მეცნიერი და მამულიშვილი, პროფესორი პაატა გიორგაძე, თავის შემოქმედებით ჯგუფთან ერთად! ამ საქმის დაყოვნებით საქართველოს მოსახლეობა და, შესაბამისად, საქართველოც ჰკარგავს ძალიან დიდ შემოსავალს! საქმე სასწრაფოდ დასაძვრელია მკვდარი წერტილიდან!!!

გელოდებით!!!

გფარავდეთ მამაზეციერი და დედა ღვთისმშობელი, საქართველოს საკეთილდღეოდ გაწეულ ყველა საქმეში!

**ანზორ დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის აქტივისტთა კავშირის მიმართვა ეროვნული სულისკვეთების მატარებელ ბიზნესმენებს!



საქართველოს არსებობის ისტორია ესაა ბრძოლა თვითგადარჩენისთვის. ბოლო წლებია, მას შემდეგ რაც სახელმწიფოს მართვის სადავეებთან გლობალისტების ნიღაბს ამოფარებული ქართველი რენეგატები მოვიდნენ, ეს ბრძოლა განსაკუთრებით გამძაფრდა. ისინი ყველანაირად ცდილობენ ქართველში წაშალონ ეროვნული მეხსიერება. ისინი: უგულვებელყოფენ ტრადიციისადმი და ეროვნული კლუტურისადმი პატივისცემას, არაფრად დაგიდევენ მართლმადიდებლობის უსაზღვრო როლს ქართული სულის განვითარებაში, ყველაფერს აკეთებენ ახალგაზრდა თაობის ტვინის გამოსარეცხად. ამისთვის მათ ხელს უწყობს მასმედია და ინტერნეტსივრცე. ახალგაზრდობა თანდათანობით შორდება ოჯახურ (ბუნებრივ) სითბოს – დამყარებულს ტრადიციასა და ურთიერთსიყვარულზე, უფრო ცივი ხდება ყველაფრისადმი, გულგრილი ნიჰილისტური განწყობები სჭარბობს მასში. სასწავლო პროგრამებიც ისეა შედგენილი, რომ პატრიოტებად (სამშობლოს შვილებად) კი არ ხდება მათი აღზრდა, არამედ რობოტების მსგავს, სახელმწიფოს და მსოფლიოს მოქალაქეებად. სამწუხაროდ ახალგაზრდების ეს დეგრადირების პროცესი უკუშეუქცევად ხასიათს ღებულობს. სასწრაფოდ უნდა გატარდეს გარკვეული ღონისძიებები მომავალ თაობებში ეროვნულ–პატრიოტული გრძნობების შესასისხლხორცებლად, თორემ ქართველ ერს გადაშენება უწერია!

საქართველოს მომავლის გადასარჩენად, მისი გაჭირვების პერიოდში ყოველთვის გამოჩნდებოდნენ ხოლმე სასიქადულო მამულიშვილები, რომლებიც უანგაროდ ახდენდნენ სამშობლოსთვის თავდადებული კადრების გამოზრდას. ისინი ქმნიდნენ პირობებს, რათა მატერიალურად გაჭირვებაში მყოფ მოსახლეობაში ნიჭიერი ახალგაზრდები გამოევლინათ და ხელი შეეწყოთ მათთვის სათანადო განათლების მისაღებად.

ასე იყო მე-19 საუკუნეში, დიდი ქართველი მეცენატი დავით სარაჯიშვილი, ილია ჭავჭავაძე და სხვა მამულიშვილები ყველანაირად ხელს უწყობდნენ ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოვებულ ახალგაზრდებს. შექმნეს რა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ავლენდნენ ნიჭიერ ახალგაზრდებს და შემდგომ ყველანიარად ხელს უწყობდნენ მათ წინსვლას ცოდნის გაღრმავებაში.

შემდგომში ამ წერა-კითხვის გამარვცელებელი საზოგადოების აღზრდილებმა მოუპოვეს საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლებში, ეს მათ დააარსეს უნივერსიტეტი, სადაც მუდმივად დაქროდა ქართული სული და სწორედ ამ ქართულმა სულმა აღზარდა სამშობლოს სამსახურში ჩამდგარი რჩეული თაობები. ამ სულს შეთვისებულმა ახალგაზრდობამ გადაარჩინა ქართული ენა (1978 წლის 14 აპრილი).

ამ სულმა მიიყვანა ჩვენი ქვეყანა 90-იან წლებში დამოუკიდებლობამდე!

დიახ დღესაც სწორედ ეს გზაა გასავლელი! იმის გამო, რომ გარკვეული კონიუნქტურული მიზეზების გამო ვერ ხერხდება განათლების სისტემის პატრიოტულ ღერძზე გადაყვანა, ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთ შესაძლებლობად მიგვაჩნია შეიქმნას ე.წ. **„მომავლის სკოლები“**, სადაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის წარჩინებულ (ნიჭიერი) მოსწავლეები შაბათ-კვირაობით გაიღრმავებენ თავიანთ ცოდნას ეროვნულ-პატრიოტულ სულზე დაფუძნებული სწავლებით.

ასეთი, პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდილი, წარჩინებული მოსწავლეები ოცი, ოცდაათი, ორმოცი წლის შემდეგ მოვლენ რა ხელისუფლების, ბიზნესის თუ მეცნიერების სათავეებთან, მათ წინაშე მდგარ საკითხებს მიუდგებიან სამშობლოზე და ქართველ ხალხზე ზრუნვით!!!

პატრიოტული სულის აღზრდა უნდა მოხდეს: შესაბამისი ლიტერატურის, ისტორიის შესწავლით. ისტორიულ ძეგლებზე და ბუნებაზე ზრუნვით. ბუნების შეყვარების და ისტორიული ძეგლების შესასწავლად სისტემატურად უნდა ტარდებოდეს ლაშქრობები და ექსკურსიები (ადგილობრივი, რეგიონალური და ქვეყნის მასშტაბით) სხვადასხვა სიხშირით.

სკოლების მუშაობის პრინციპი უნდა იყოს: შუა კვირაში მასწავლებლებისთვის ლექცია-სემინარების ჩატარება (ინტერნეტით – **„სკაიპის“** მეშვეობით) სპეციფიკურ თემატიკებზე, თუ რა კუთხით გამახვილდეს ყურადღება საკითხებზე, რომლებიც მოსწავლეებს უნდა მიეწოდოს შაბათ-კვირის გაკვეთილებზე.

ხოლო თემატიკა უნდა მოიცავდეს და აქცენტი კეთდებოდეს:

**– ერი და ეროვნულობა. სამშობლო. სამშობლოსადმი სიყვარული, ერთგულება და თავგანწირვა.**

**– ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ინტერესები ამ ინტერესების შესაძლო დაპირისპირების წარმოქმნის მიზეზები. მათი აღმოფხვრის გზები ეროვნულობის მცნების უფრო მაღალ საფეხურზე აყვანით**

**– ენა, მამული, სარწმუნოება, უპირველეს ყოვლისა.**

**– რელიგია და ეროვნულობა. მართლმადიდებლობის როლი ქართული სახელმწიფოსა და ქართული სულის ჩამოყალიბებაში.**

**– ოჯახი და ტრადიცია. წარსული, აწმყო და მომავალი როგორც ერთიანი.**

**– სიყვარული, მეგობრობა, თანადგომა როგორც ადამიანთა ურთიერთობის ქვაკუთხედი.**

**– მეცნიერება და რელიგია – ტექნიკური პროგრესი, კულტურა.**

**– ტრადიციული (ისტორიული): მართლმსაჯულება, სახალხო მედიცინა, შრომის კულტურა და სხვა.**

ამ საკითხებზე სისტემატურად, პერიოდულად უნდა ტარდებოდეს მოსწავლეთა ნამუშევრების კონკურსი (რაიონული, რეგიონალური და ქვეყნის მასშტაბით), გამოვლენილი გამარჯვებულების და მათი მასწავლებლების წახალისებით.

აუცილებლად მიგვაჩნია სხვადასხვა რეგიონების ურთიერთგაცვლითი ექსკურსია მასპინძლობები, სადაც ბავშვები ერთმანეთს გააცნობენ თავისი კუთხის ღირსშესანიშნაობებს, მათ ისტორიებს. ამ კუთხის მამულიშვილების მოღვაწეობის ასპექტებს.

ასეთი სკოლების ფუნქციონირებისთვის საჭიროა:

**1. სასწავლო ბაზის არსებობა (შენობა-ნაგებობები,– საკლასო ოთახები);**

**2. კადრები (ეროვნული სულისკვეთების მასწავლებლები);**

**3. საორგანიზაციო შტაბი (ხელმძღვანელობა);**

**4. სახსრები (ფინანსები).**

**5. სასწავლო ბაზა**

სად შეიძლება იფუნქციონიროს **„მომავლის სკოლებმა“?**

ჩვენი აზრით ის უნდა ფუნქციონირებდეს გამოჩენილი მამულიშვილების სახლ-მუზეუმებში. ღმერთის მადლით ასეთი სახლ-მუზეუმები მრავლადაა საქართველოში და ასეთი სკოლების განთავსება ახალ სიცოცხლეს ჩაბერავს მათ ფუნქციონირებას, ხოლო იქ სადაც ასეთი მუზეუმები არაა სოფლის ან ქალაქის ბიბლიოთეკებში. რაც ასევე ახალი სიცოცხლის შეტანა იქნება ამ ბიბლიოთეკებში. (მომავლის სკოლის კლასები გათვალისწინებული უნდა იყოს მაქსიმუმ 5-10 მოსწავლისთვის).

**6. კადრები.**

სადან მოვიზიდოთ სასურველი კადრები?

ამ სოფელში, დაბაში, რაიონში არსებული მასწავლებლებიდან, რომლებიც პატრიოტული სულისკვეთებით გამოირჩეოდნენ (ამ მიზნით გამოკითხვა ჩატარდეს მათ აღზრდილებში) სასურველი იქნება თუ ამჟამად ისინი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არ იქნებიან დაკავებულნი (პენსიონერები).

რელიგიის საკითხებში კი ბავშვების განათლება უნდა ითავონ ბერ-მონაზვნებმა და ეკლესიის მსახურებმა (ასევე თეოლოგებმა). ძირითადი დატვირთვა კი ბავშვების განათლებაში დაეთმოს **„სკაიპით“** ბავშვებისთვის ლექციების კითხვას. შემდგომში შეიძლება სპეციალიზირებული ინტერნეტ ტელევიზიის შექმნა.

**7. საორგანიზაციო შტაბი (ხელმძღვანელობა).**

თავდაპირველად საორგანიზაციო შტაბი შეიქმნას ჭეშმარიტ ეროვნულ ძალებთან კონსულტაციით, ხოლო როდესაც ასეთი სკოლის თანადგომის ფონდი შეიქმნება ეს ამ ფონდის პრეროგატივა იქნება.

**8. სახსრები (ფინანსები)**

ა) აუცილებელია სახელმწიფოსგან საბიუჯეტო დახმარება, რომელიც მასწავლებლების და ხელმძღვანელობის მინიმალურ მოთხოვნების დაკმაყოფილებას;

ბ) ძირითადი აქცენტი იქნება მამულზე გულშემატკივარი ბიზნესმენებისაგან შექმნილი **„მომავლის სკოლების“** თანადგომის მძლავრი საქველმოქმედო ფონდი – ცხადია მოსახლეობასაც ექნება საშუალება შემოწირულებებით დაეხმაროს ამ ფონდს.

იმისათვის, რომ ეს ყველაფერი არ დარჩეს მხოლოდ ენთუზიაზმად, საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან მატერიალური მხარდაჭერის გარდა სკოლის კურსდამთავრებულებზე გაიცეს სერთიფიკატები, რომელსაც გარკვეული უპირატესობა ექნება ამა თუ იმ კონკურსში (უმაღლეს სასწავლებლებსა თუ სამსახურში მიღებისას.

ცხადია საპატრიარქოს ლოცვა-კურთხევა და სახელმწიფოს მხრიდან ასეთი, თუნდაც შეფარული თანადგომა ეროვნული პრიორიტეტისადმი, საშუალებას მისცემს სკოლის მესურვეებს მიმართონ ბიზნესმენებს, რათა შექმნან და უხელმძღვანელონ ფონდს რომელიც:

– წარჩინებულ მოსწავლეებს და მათ მასწავლებლებს დაეხმარება მატერიალურად;

– დაეხმარება კურსდამთავრებულებს მათი სწავლის გაღრმავებისთვის უმაღლეს სასწავლებლებში სრული ან ნაწილობრივი დაფინანსებით (ქვეყნის შიგნით თუ გარეთ);

– დაფინანსდება კონკურსების მოწყობა;

– უზრუნველყოფს სხვადასხვა ლაშქრობების, ექსკურსიების თუ საზაფხულო ბანაკების მოწყობას;

– სკოლებს უზრუნველყოფს სათანადო ტექნიკით.

ცხადია ბიზნესმენთა ჩართულობის გარეშე ასეთი პროექტი ვერ განხორციელდება. ამიტომაც მიგვაჩნია სახელმწიფოს მხრიდან ასეთი დამოკიდებულება პროექტის მუშაობისთვის სასიცოცხლო აუცილებლობად.

ჩვენ, საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის აქტივისტთა კავშირის (საუდაკი) წევრები, უკვე მრავალი წელია ვცდილობთ ეს პროექტი მივაწოდოთ სახელმწიფო სტრუქტურებს. პასუხი – აბსოლიტური გულგრილობა. ხოლო განათლების სამინისტროდან გამაოგნებელი პასუხი: **„კერძო ინიციატივაა???“**

სახელმწიფოს გარეშე ასეთი სკოლების შექმნის მეორე ალტერნატიული გზა უფრო რთული და ძნელად განსახორციელებელია ჩვენთვის.

პირდაპირ მივმართოთ ქართველ ბიზნესმენებს (ცხადია საპატრიარქოს ლოცვა-კურთხევის შემდეგ). სათითაოდ ყველას, რათა უშუალოდ აიღონ ინიციატივა, ჩაერთონ ამ პროექტის განხორციელებაში და დააარსონ ფონდი, რომელიც უშუალოდ მათი კონტროლით განახორციელებს ასეთ პროექტს სახელმწიფოს გარეშე.

ჩვენთვის ამის განხორციელება ძალიან რთულია, რადგან ათასობით ბიზნესმენს (საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ) პერსონალურად უნდა მიემართოს ასეთი თხოვნით. გაეწიოს ორგანიზება ამ საკითხს (მათ ინფორმირებას და კონდინირებას ამ საკითხის გადაწყვეტაში), ეს კი ჩვენს შესაძლებლობებს აღემატება, რადგან ჩვენთვის უკვე მრავალი წელია:

- **არა ბინა,**
- **არა სამსახური,**
- **არა დაფინანსებულ პროექტებში მონაწილეობა,**
- **არა სათანადო ტექნიკა.**

მხოლოდ უსაზღვრო ენთუზიაზმი ვერ დაგვეხმარება ამ კურსით და რომც შევძლოთ ყველა ბარიერის გადალახვა, ეს პროცესი დროში ძლიერ გაიწელება (შეიძლება წლებით). ისედაც უკვე რამდენიმე წელია გასული მისი გაჟღერებიდან.

სასურველია თუ რომელიმე ბიზნესმენი ან ბიზნესმენთა ჯგუფი დაინტერესდება ამ იდეით, მოხდება დაკავშირება, რის შემდეგაც თავის თავზე აიღებენ ინიციატივას და სათავეში ჩაუდგებიან ამ საქმეს. ოღონდ არ მოხდეს იდეის არსის გადახვევა! ჩვენ ეს გზა არაერთჯერ გაგვივლია თვით ადამიანის უფლებების დაცვის სფეროშიც, როდესაც ცალკეული პირები და ორგანიზაციები დაინახავდნენ რა გამარჯვების პირას მისულ ინიციატივას, განუსაზღვრელ აქტიურობას იწყებდნენ, რათა პროექტი საკუთარ ინიციატივად გაესაღებინათ და დივიდენდები მიეღოთ. ჩვენ ამაზე არასდროს გვქონია გართულება და არც მომავალში გვექნება, რადგან ჩვენ ვიღვწით უანგაროდ, ჩვენი დევიზია: **„მთავარია გაკეთდეს საქმე! დადგეს შედეგი!“**

იმედი გვაქვს ჩვენი ეს მიმართვა იპოვის თავის ადრესატს თქვენს შორის, რომელიც ფრთებს შეასხამს ამ პროექტს!

ჩვენ პირადად მივესალმებით ასეთ ბიზნესმენებს!!!

**გია ჩუთლაშვილი,**
**საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის აქტივისტთა კავშირის აღმასრულებელი დირექტორი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „წყალი ჩვენი არსობისა..."

***აზერბაიჯანის რესპუბლიკისათვის საქართველოდან სასმელი წყლის მიწოდების ეკონომიკური ასპექტები***



ჩვენ ჯერ კიდევ ორი წლის წინ გამოვაქვეყნეთ წერილი იმის თაობაზე, რომ, მეოცე საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან, საქართველოდან მაღალხარისხიანი სასმელი წყლის აზერბაიჯანში უსასყიდლოდ გაედინება, რაც დღესაც ამოუხსნელ ფენომენად რჩება ქართული ეკონომიკისათვის, რადგან არავინ იცის, აქვს თუ არა ამ გარიგებიდან რაიმე სარგებელი საქართველოს მხარეს. სავარაუდოა, რომ საქართველოს სახელმწიფოს ამ ბიზნესიდან არავითარი შემოსავალი არ გააჩნია.

სამწუხაროა, რომ ამ საკითხით ხელისუფლების არცერთი შტო არ დაინტერესდა და ხელმეორედ გვიწევს აღნიშნული პრობლემის წამოწევა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ დღეს მსოფლიოს მრავალი რეგიონი, განსაკუთრებით კი ნავთობით მდიდარი მუსულმანური სამყაროს ქვეყნები, სასმელი წყლის მწვავე დეფიციტს განიცდიან. ამ რეგიონებს შორისაა ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანის რესპუბლიკაც, რომელიც მართლაც მდიდარია ნავთობისა და გაზის საბადოებით, მაგრამ მოკლებულია როგორც წყალუხვ მტკნარი წყლის მქონე მდინარეებს, ასევე გრუნტის წყლების სოლიდურ რესურსებს. აქედან გამომდინარე, აზერბაიჯანი იძულებულია საზღვარგარეთ მოიძიოს მტკნარი წყლის რესურსებით მდიდარი ტერიტორიები, მაგალითად საქართველოში.

ამ პრობლემის მოსაგვარებლად ჯერ კიდევ 50-იან წლებში, როცა საბჭოთა კავშირი ერთიან ეკონომიკურ სივრცეს წარმოადგენდა, აზერბაიჯანულმა მხარემ, საქართველოს მთავრობის თანხმობით, სართიჭალის ტერიტორიაზე, მდ. იორზე ააგო საკაპტაჟო ნაგებობა, რომლის მიზანი იყო მდინარე ივრის ფილტრატების დაჭერა და მისი ერთი ნაკადის მიწოდება ბალბიანის (საქართველო) გამანაწილებელი უბნისაკენ, მეორის კი ჯეირან-ჩოლის (აზერბაიჯანის რესპუბლიკა) საძოვრებისათვის.

სამწუხაროდ, აღნიშნულმა წყალმიმღებმა სისტემამ სულ რამოდენიმე წელიწადს იმუშავა და გრუნტის წყლების შემკრები ხვრელების თიხური ფრაქციებით გაბიდვნის (კალმატაციის) გამო დაკარგა პირვანდელი ფუნქცია.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ. მდ. იორი ტრანსსასაზღვრო ობიექტის სტატუსს ატარებს, მისი წყლები, როგორც ზედაპირული, ასევე ფილტრატები პარიტეტულ საწყისებზე უნდა გადანაწილდეს მფლობელ ქვეყნებს შორის და, თუ მეზობელი ქვეყანა წყალს ფილტრატებიდან მიიღებდა, მაშინ აზერბაიჯანს მოხმარებული წყლის ღირებულების გადახდა არ დაეკისრებოდა.

ისარგებლა რა აღნიშნული გარემოებით, აზერბაიჯანულმა მხარემ, საქართველოს ხელისუფლების ნებართვით, მეოცე საუკუნის 60-იან წლებში, მდ. ივრის მარცხენა სანაპიროზე გაიყვანა მილოვანი წყალმიმღები, რომელმაც შეკრიბა არა მდინარე ივრის ფილტრატები, არამედ ივრის კალაპოტიდან რამდენიმე ათეული მეტრით მაღლა, სართიჭალის აუზის ფარგლებში კომპაქტურად განლაგებული დაუნაწევრებელი მეოთხეული ნალექების წყალშემცველი ჰორიზონტის წყლები. ეს წყლები ადრე აგებული დიუკერის მეშვეობით თვითდენით იქნა მიწოდებული გამანაწილებელ კამერაში, იქიდან კი ყოველგვარი კონტროლისა და გაზომვის გარეშე გადადის ჯეირან-ჩოლის საძოვრებზე.

აზერბაიჯანის მხარე აცხადებდა პრეტენზიას წყლის უფასო მიღებაზე, რადგან თვლიდა, რომ ეს წყალი მდ. იორის ფილტრატია, ხოლო რადგან მდ. იორი ტრანსსასაზღვრო წყლის სტატუსს ატარებს, აქედან გამომდინარე, მისი ფილტრატიც ტრანსსასაზღვრო პრივილეგიებით სარგებლობს, რაც გამორიცხავს საქართველოს მხრიდან რაიმე პრეტენზიის დაყენებას. შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა დაედგინა ამ წყლის წარმომავლობის (გენეზისის) საკითხი. 1997 წლის 15-16 აპრილს თბილისში ჩამოვიდა აზერბაიჯანის დელეგაცია, რომელშიც შედიოდნენ: ნ. კაზიბეკოვი (აზერბაიჯანის მელიორაციისა და წყლის მეურნეობის კომიტეტის თავჯდომარის მოადგილე), მ. იმამალიევა (მელიორაციისა და წყლის მეურნეობის კომიტეტის მთავარი სამმართველოს უფროსი) და ა. ალეკპეროვი (აზერბაიჯანის გეოლოგიისა და მინერალური რესურსების სახელმწიფო კომიტეტის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის სამმართველოს უფროსი). საქართველოს მხარეს წარმოადგენდნენ იუსტიციის მინისტრის მოადგილე ვ. გვარამია, საქ. გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე თ. ჯანელიძე, შპს **„უდაბნო"-ს** პრეზიდენტი გ. უსტიაშვილი, **„ჰიდროინჟგეო"-ს** დირექტორის მოადგილე ჯ. გაბეჩავა და მელიორაციისა და წყლის მეურნეობის დეპარტამენტის თავმჯდომარე ტ. ჩიკვაიძე. ადგილზე შემოწმებით კომისიამ დაადგინა, რომ სართიჭალის წყალშემკრები სისტემის შევსება ხდება **„არამდინარისეული წარმოშობის წყლებით და მას არ შეიძლება მიენიჭოს ტრანსსასაზღვრო საწყლოსნო ობიექტის სტატუსი"**.

**დამაფიქრებელია ისიც, რომ აზერბაიჯანში უხვად იყიდება სუპერმარკეტებში დაფასოებული სასმელი წყალი. დასადგენია, გააქვთ თუ არა მათ სასმელი წყალი ექსპორტზე და არის თუ არა ეს ჩვენგან უფასოდ წაღებული წყალი. ასეც რომ არ იყოს, მაშინ ფაქტია, რომ თუ ამ ქვეყანაში წყლის რეალიზაცია ხდება სავაჭრო ქსელის მეშვეობით, მაშინ გამოდის, რომ მათ წყლის საკუთარი რესურსი გააჩნიათ. ასეთ შემთხვევაში კი ჩვენ ბრიყვების როლში არ უნდა გამოვიდეთ და შესაბამისი ზომები უნდა მივიღოთ, რადგან უფასოდ ჩვენ არავინ არაფერს არ გვაძლევს!**

აღნიშნული დასკვნა გაფორმდა სათანადო ოქმის (1997 წლის 15-16 აპრილი) სახით რომელსაც ხელი მოაწერეს, აზერბაიჯანის მხრიდან – ნ. კაზიბეკოვმა. საქართველოს მხრიდან კი ვ. გვარამიამ.

როგორც ჩანს, ამგვარმა დასკვნამ არ დააკმაყოფილა აზერბაიჯანული მხარე და მათ კვლავ დააყენეს სართიჭალის წყალშემკრები კამერების შემავსებელი წყლის წარმომავლობის საკითხი. ეს პოზიცია აისახა ოქმში **„წყლის რესურსებით სარგებლობის შესახებ საქართველოს და აზერბაიჯანის სამთავრობო დელეგაციების მოლაპარაკებათა შედეგები, რომელიც მიღწეულია 1997 წლის 16-27 დეკემბერში"** აღნიშნულ ოქმს საქართველოს მხრიდან ხელი მოაწერა სახელმწიფო მინისტრმა ბატონმა ნ. ლეკიშვილმა, აზერბაიჯანის მთავრობის სახელით კი ბატონმა რასიმზადემ. ამ ოქმის მე-5 პუნქტში აღნიშნულია:

**„მხარეები შეთანხმდნენ, რომ 1998 წლის 15 თებერვლამდე, ექსპერტების მონაწილეობით დაადგინონ სართიჭალის წყალშემკრებ სისტემაში შემავალი წყლის წარმომავლობა** (გენეზისი), **რათა დადგენილ იქნას მისი სტატუსი (ტრანსსასაზღვრო, არატრანსსასაზღვრო)". ამ საკითხის გადასაწყვეტად შეიქმნა ახალი კომისია შემდეგი შემადგენლობით: ნ. კაზიბეგოვი (აზერბაიჯანის მელიორაციისა და წყლის მეურნეობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე), პროფესორი რ. ისმაილოვა (აზერბაიჯანის გეოლოგიისა და მინერალური რესურსების სახელმწიფო კომიტეტის მთავარი ჰიდროგეოლოგი), ა. ალეპერკოვი (აზერბაიჯანის გეოლოგიისა და მინერალური რესურსების სახელმწიფო კომიტეტის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის სამმართველოს უფროსი), ი. წულუკიძე (საქართველოს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის ჰიდროგეოლოგიის, საინჟინრო გეოლოგიისა და გეოეკოლოგიის სამმართველოს უფროსი), პროფესორი ლ. ვარაზაშვილი, პროფესორი ე. გონიაშვილი, გ. სულიკაშვილი (საქართველოს ბუნების დაცვის სამინისტროს წიაღისეულის დაცვის სამმართველოს უფროსი) და ჯ. გაბეჩავა (საქ. გეოლოგიის დეპარტამენტის „ჰიდროინჟგეოს" დირექტორის მოადგილე).**

**აღნიშნული კომისია 1998 წლის 12 თებერვალს გავიდა ადგილზე და მისი დათვალიერებით დაადგინა შემდეგი:**

- **სართიჭალის წყალშემკრები სისტემის სადამკვირვებლო ჰორიზონტალური სადრენაჟეო ჭები ავსებულია წყლით, გარდა პირველი (უკიდურესი ჩრდილოეთით მდებარე) ჭისა. ყველა სხვა დანარჩენი 14 სადამკვირვებლო ჭაში წყლის დონე მიწის ზედაპირიდან ერთი მეტრის სიღრმეზე და მდინარე იორის კალაპოტიდან 6 მეტრის ზევით. წყლის ნაკლებობა პირველ ჭაში განპირობებულია იმით, რომ იგი მდებარეობს მიწისქვეშა წყლების ფრონტალური ნაკადის პერიფერიულ ნაწილში, რომელიც ფერდობის მხრიდან მოედინება;**
- **აზერბაიჯანის მხარის მიერ, მდინარე ივრის გასწვრივ, არხისქვეშა წყლის შეგროვების მიზნით აშენებული კაპტაჟური ნაგებობა არის აბსოლუტურად მშრალი;**
- **ასევე დადგენილია, რომ სოფლის წყალსადენის ერთ-ერთ ჭაში, რომელიც წყალშემკრების ტერიტორიაზე მდებარეობს. ხელოვნურადაა დაზიანებული 540 მილიმეტრიანი ასბოცემენტის წყალსადენის მილი, საიდანაც იტბორება ტერიტორია და წყალი გადადის სართიჭალის წყალშემკრების ჰორიზონტალური სადრენაჟო სისტემაში.**

**ქართული მხარე ასკვნის: მხედველობაში ვიღებთ რა, რომ მდინარე იორის დონეზე ბევრად მაღლა დგას ჰორიზონტალური სადრენაჟო სისტემა, აგრეთვე ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებელთა განსხვავება ივრის წყალსა და სადრენაჟო სისტემების წყალს შორის (მინერალიზაცია, ტემპერატურა ქიმიური შემადგენლობა, ფერი), შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სართიჭალის წყალშემკრებ სისტემაში წყალი გროვდება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე მიოცენ-ოლიგოცენური გრუნტებიდან. ამდენად, ამ წყალს არ შეიძლება გააჩნდეს ტრანსსასაზღვრო საწყალოსნო ობიექტების სტატუსი და არის საქართველოს საკუთრება".**

წინამდებარე წერილის შედგენისას ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ დასაბუთებულ უნდა იქნას სართიჭალის წყალშემკრებ სისტემაში მიღებული წყლის ქართული წარმომავლობა, აზერბაიჯანის მხარე მაინც უსასყიდლოდ განაგრძობს მილიარდობით ლიტრი სასმელი წყლის ექსპლუატაციას (წელიწადში დაახლოებით 2 მილიონ 700 ათასი კუბური მეტრი სასმელი წყალი), რის გამოც, მინიმალური გაანგარიშებითაც კი, საქართველოს ბიუჯეტი ყოველწლიურად რამდენიმე მილიარდ დოლარს ჰკარგავს.

დამაფიქრებელია ისიც, რომ აზერბაიჯანში უხვად იყიდება სუპერმარკეტებში დაფასოებული სასმელი წყალი. დასადგენია, გააქვთ თუ არა მათ სასმელი წყალი ექსპორტზე და არის თუ არა ეს ჩვენგან უფასოდ წაღებული წყალი. ასეც რომ არ იყოს, მაშინ ფაქტია, რომ თუ ამ ქვეყანაში წყლის რეალიზაცია ხდება სავაჭრო ქსელის მეშვეობით, მაშინ გამოდის, რომ მათ წყლის საკუთარი რესურსი გააჩნიათ. ასეთ შემთხვევაში კი ჩვენ ბრიყვების როლში არ უნდა გამოვიდეთ და შესაბამისი ზომები უნდა მივიღოთ, რადგან უფასოდ ჩვენ არავინ არაფერს არ გვაძლევს!

ამდენად, აუცილებელია, დაინიშნოს ერთობლივი ქართულ-აზერბაიჯანული სამთავრობო ექსპერტიზა, რომელიც დაწვრილებით შეისწავლის აღნიშნულ საკითხს და აზერბაიჯანულ მხარესთან შეთანხმებით გადაიყვანს მას კომერციულ ჭრილში, რაც უაღრესად ხელსაყრელი იქნება საქართველოსთვის.

გარდა ამისა, იბადება იმის სერიოზული ეჭვი, რომ აღნიშნულ საკითხზე არსებობს ჩრდილოვანი დანაშაულებრივი გარიგება აზერბაიჯანისა და საქართველოს დაინტერესებულ წარმომადგენელთა შორის, რისი წყალობითაც ხდება სახელმწიფო თანხების მითვისება. ამდენად, საჭიროა ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებით, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს თანამშრომლებით და ჰიდროგეოლოგებით დაკომპლექტებული კომპეტენტური კომისიის შექმნა, საკითხის დაწვრილებით შესწავლა და ქვეყნის ბუნებრივი რესურსებისადმი დანაშაულებრივი დამოკიდებულების აღკვეთა, რაც დამატებით შემოსავალს მოუტანს საქართველოს ბიუჯეტს.

**ომარ ქუცნაშვილი,**
საქართველოს მდგრადი განვითარების ინსტიტუტის დირექტორი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

**ჯემალ გაბეჩავა,**
შპს "გამა-კონსალტინგი"-ს ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტის დირექტორი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი;

**ნუგზარ გოგუა,**
„საინჟგეოს" დირექტორი, საპატიო დოქტორი;

**როლანდ ჯალაღანია,**
ჟურნალისტი, საპატიო დოქტორი;

# საქართველო არ გადაუხვევს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურ-სამართლებრივ კურსს

**„რაც უნდა ჭირი მომკერძო, ბილწთ არ შავეკვრი ზავითა,
მცნებას ვერ შემაცვლევინებ მოზვავებულის ავითა“
ვაჟა**

*თავისუფალი საქართველოს მეციხოვნენი*

ვაჟა-ფშაველას, ამ ერისათვის საშვილიშვილოდ დანატოვარ სიტყვებს იმისათვის ვიხსენებთ, რათა ერთხელ კიდევ ხაზი გაუსვათ დღევანდელ საქართველოში არსებულ უმძიმეს ზნეობრივ-მორალურ კრიზისს. ტყუილად ხომ არ გაისმოდა, ზვიადისა და მერაბის მიერ ჩატარებულ, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მიტინგებზე ვაჟა-ფშაველას ეს სიტყვები; ქართველ კაცს მუდამ უნდა ხსომებოდა და სცოდნოდა, რომ მოღალატეთა ლუკმად გახდომა და სამშობლოს ღალატი უმძიმესი, მომაკვდინებელი დანაშაულია, არადა დღეს ჩვენში, მრავალი ადამიანის საქციელი, მათი ქამელეონივით ფერის ცვლა და ლერწამივით აქეთ-იქით პოლიტიკური ქანაობა, რაც დღეს ყველაზე სავალალოა, ანგარებით არის გამოწვეული.

ორ წელია, რაც ჩვენს მიერ დაარსდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კანონიერი, კონსტიტუციური, ლეგიტიმური ხელისუფლების – უზენაესი საბჭოს აღდგენის ეროვნული კომიტეტი. გვინდა ქართველ საზოგადოებას მოკლედ აუხსნათ ის, რისი გაკეთებაც შესძლო აღნიშნულმა კომიტეტმა და ქართველ ხალხს შევახსენებთ, თუ რამ განაპირობა ამ სახელწოდების კომიტეტის შექმნის აუცილებლობა. აღნიშნული კომიტეტი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოძრაობაა, რომელიც თავისუფალია ვიწრო პარტიული ჩარჩოებისაგან და ერის ერთიანობას ემსახურება. ნიშანდობლივია ისიც, რომ კომიტეტის შეკრებები საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმის, ყველასათვის ნაცნობ და ეროვნული მოძრაობისათვის საყვარელ, ეზოში იმართება.

ჩვენს ქვეყანაში, ყველა მიმართულებით კატასტროფული მდგომარეობის არსებობის ფონზე, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის დღევანდელი უმოქმედობა, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ანუ საქართველოს კანონიერი ხელისუფლების და მისი მხარდამჭერების აბსოლუტური უმრავლესობის ინტეგრირება არსებულ არალეგიტიმური რეჟიმების პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრების წესთან და უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებისა და კგბ-ს მიერ ერთადერთი პოლიტიკურ-სამართლებრივი სახელმწიფო ინსტიტუტის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პარალიზებამ, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა კონსტიტუციური ლეგიტიმური ხელისუფლების აღდგენის აუცილებლობა. ამ მეტად ისტორიული მოვლენის – ლეგიტიმაციის წყვეტილობა, ქვეყნის კატასტროფის ტოლფასია. კომიტეტის მთავარი და ძირითადი მიზანი კი გახლავთ კონსტიტუციური ხელისუფლების აღდგენა, რამეთუ საქართველო, როგორც ერთიანი სახელმწიფო უნდა მოექცეს სამართლებრივ სივრცეში, რაც დარღვეულია 1991-92-93 წლებში ჩადენილი ანტისახელმწიფოებრივი დანაშაულის – სახელმწიფო-მაფიოზური გადატრიალების შედეგად.

ჩვენი კომიტეტის ერთადერთი მოთხოვნაა სამართლიანობის აღდგენა, რაც გამორიცხულია საქართველოს კონსტიტუციური ხელისუფლების აღდგენის გარეშე. საქართველოში უკანონობის დამკვიდრების თარიღად, ხაზგასმით უნდა ჩაითვალოს, არა მარტო სააკაშვილის სადისტური ცხრაწლიანი მმართველობის პერიოდი, არამედ, პირველ რიგში, საქართველოს წინაშე ჩადენილი 1992 წლის 6 იანვრის სისხლიანი სახელმწიფო გადატრიალება და შევარდნაძის მიერ კანონიერების წინააღმდეგ განხორციელებული ყველა სპეცოპერაცია და ქართველი ხალხის მიერ უკანონო რეჟიმის წინააღმდეგ ჩატარებული საპროტესტო მიტინგების დარბევა-დახვრეტა, როდესაც ჩვენს ქვეყანაში გაუქმდა ხალხის მიერ არჩეული, ზვიად გამსახურდიას, თავისუფალი საქართველოს გამომცხადებელი ერთადერთი ეროვნული ხელისუფლება. ამ ფაქტის უგულვებელყოფა ყოვლად დაუშვებელია და სახელმწიფო დანაშაულია, რამეთუ ამით საქართველოს დამოუკიდებლობა პოლიტიკურ აზრს კარგავს. მოგახსენებთ, რომ ჩვენი ბრძოლა უკომპრომისოა, სამართალი და კანონი ის უმთავრესი ატრიბუტებია, რაც განაპირობებს სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობას. თუკი სახელმწიფო უკანონო ხელისუფლების დიქტატის ქვეშ იმყოფება, იმ ქვეყანაში შეუძლებელია აღდგეს სამართლიანობა. ეს აქსიომაა და ამაზე არ დაობენ.

ჩვენ კატეგორიულად ვემიჯნებით ქვეყნის მაოხრებელი შევარდნაძის ტერორისტულ-კანიბალურ, სააკაშვილის მამათმავლურ-არაადამიანურ რეჟიმებს და დღევანდელ მაფიოზურ-ოლიგარქიულ, კლანურ ხელისუფლებას, რომელმაც თითი არ გაანძრია, რათა საქართველო დადგომოდა სამართლიანობის აღდგენის სახელმწიფოებრივ გზას, ვინაიდან დღემდე და დღესაც არსებული რეჟიმები არიან არალეგიტიმურნი – ანტიქართული, უცხო, ბნელი ძალების მიერ გადმოსროლილი დესანტები და არამც და არამც ერის მიერ რჩეულნი. ისინი ერთი ბოროტი, გრძნეული ბუნებისანი არიან.

კომიტეტი იბრძვის ქართული სახელმწიფოს რეალურად არსებობისათვის. აღნიშნული რეჟიმების მესვეურებმა ყველა ღონე იხმარეს, რათა არ შემდგარიყო ერთიანი, თავისუფალი ქართული სახელმწიფო, რაშიც ლომის წილი მიუძღვით ე.წ. ინტელიგენციას, რეჟიმების მიერ შექმნილ პოლიტიკურ პარტიებსა და ორგანიზაციებს, ეკლესიაში შეგზავნილ მსტოვრებს, რომელნიც არა ღვთის ნების, არამედ ამა ქვეყნის ძლიერთა ბრძანებების აღმასრულებელნი და მონა-მორჩილნი ბრძანდებიან. თუმც არიან უზენაესი საბჭოს ის დეპუტატებიც, რომელთაც ერისა და პრეზიდენტის წინაშე დადებული ფიცი არ გაუტეხიათ და არ ჩაბმულან ერის მოღალატეთა შავ-ბნელ საქმიანობაში.

რა თქმა უნდა **“ამაგს”** ვერ დაუკარგავთ პუჩისტთა მიერ დაარსებულ საინფორმაციო საშუალებების ანტიქართულ სამსახურებს. მათი აღზევება განპირობებულია უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ დაკვეთილი პროექტებით და საზოგადოების იმ ბნელი და მეშჩანური ფენის სულისკვეთებით და გემოვნებით, რომელიც დღეს ჩვენს დამცრობილ სამშობლოში მძვინვარებს და ერთდროს სულიერად და გონებრივად განათლებულ და ღირსეულ ქართველ ხალხს ავიწყებს თავის წარსულსა და წარმომავლობას და მას უგონო, მორჩილ მასად გადაქცევით ემუქრება.

ამ ხნის განმავლობაში, ჩვენს მიერ, გაკეთდა არაერთი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის განცხადება, რომელიც ქვეყნის რელიგიურ-ზნეობრივ, სამართლებრივ და სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს ეძღვნებოდა. ჩვენი ძალა სიმართლეში და მისდამი მსახურებაშია. არ დავმალვთ და ამ ხნის განმავლობაში, ჩვენ აღმოვჩნდით სრულ **„უმცირესობაში“**, ვინაიდან ეროვნული მოძრაობის ე.წ. მოღვაწეებმა უარი განაცხადეს ბრძოლის დასრულებაზე, უფრო მეტიც, ისინი დღეს შეუხმატკბილდნენ დღევანდელ არსებულ ბოროტებას და ამა სოფლის სიტკბოებაში არიან ჩაფლულნი. რადგანაც ჩვენი ქვეყანა კვლავ გაუგონარ წყვდიადსა და სიბნელეში იმყოფება, ჩვენი მიზანი ხელშეუხებელი რჩება და მას ჩვენ არ გადაუხვევთ, რამეთუ ჩვენ ვაგრძელებთ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას იმ პროგრამის რეალიზებას, რომლისკენაც იგი ყოველთვის მოუწოდებდა ერსა და ბერს და ეს იყო და არის გზა, რომელიც უარს ამბობს ყოველგვარ კოლაბორაციონიზმზე ქვეყნის გარეშე თუ შიდა მტრებთან, ანუ ხუნტასთან და უპირობოდ მათ მემკვიდრეებთან.

დღევანდელ დღეს, ხომ უკვე ყველასათვის ნათელია ერთი მუჭა ე.წ. გლობალისტების, მსოფლიო ახალი წესრიგის მესვეურთა არაადამიანური ჩანაფიქრის განხორციელების მცდელობა. თვით ისეთ ზესახელმწიფოში, როგორიც აშშ-ა, რომელსაც მსოფლიო ე.წ. მთავრობამ თავს მოახვია კაცთა მოდგმის საწინააღმდეგო, არაბუნებრივი **„ცხოვრების“** კანონები, რომლის გამოძახილიც, ისე როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანას, ჩვენს ისედაც დამცრობილ ქვეყანას განადგურებით ემუქრება და ის გამოწვევა, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს ქვეყანასთან მიმართებაში საერთოდ.

ჩვენი სამშობლო მართლაც უმძიმესი გამოწვევის წინაშე დგას, უფრო მეტიც, თუ საქართველო არ შედგება სამართლებრივ სახელმწიფოდ, მას ემუქრება ამ უბედური ხვედრის გაზიარება, მითუმეტეს, რომ 1992 წლიდან ქვეყანას მართავს უცხო, ანტიქართული ძალები და ლეგიტიმაცია არის ქვეყანაში არსებული ყველა პრობლემის მოგვარების და თავიდან აცილების ერთადერთი გზა, ანუ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურ-სამართლებრივი კურსის გაგრძელება და მისი ბოლომდე მიყვანა.

კომიტეტი ამხელს ყველა იმ ცრუ ეროვნულ ძალებს, რომელთაც განუზრახავთ ინტეგრირება უკანონო, აქამდე არსებულ რეჟიმებთან, რომელიც ე.წ. კოჰაბიტაციის ერთგვარი ნაირსახეობაა.

ღმერთი იყოს ჩვენი და სრულიად საქართველოს მფარველი ამ უკომპრომისო და უთანასწორო ბრძოლაში და თვოთეული ჩვენთაგანის ბაგეთაგან გაისმოდეს: **„ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე, – მძინარიც იმას ვდუდუნებ“.**

ჰოი, მრავალმოწყალეო უფალო ჩვენო, იესო ქრისტე, მხურვალითა გულითა შეგთხოვ, მეოხებითა ანგელოზისაითა ქველისაითა მომიბოძე სიმხნე სულიერისა შემოქმედისა ძალისაი, რაითა ვმსახურებდე ერსა ჩემსა ჩაგრულსა სადიდებელად ღმრთისა და სრულიად ივერიისასა, ამინ!

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას კანონიერი, კონსტიტუციური, ლეგიტიმური ხელისუფლების – უზენაესი საბჭოს აღდგენის ეროვნული კომიტეტის სახელით:

**გიორგი კავკასიელი (კერვალიშვილი),
კომიტეტის მთავარი კოორდინატორი,
სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი;
ბესო (ბესარიონ) მიქავა,
იბერიულ-კავკასიური მოძრაობის თავმჯდომარე;
ნანა კახიანი,
იბერიულ-კავკასიური მოძრაობის პრესმდივანი;
ზურაბ ქობალია,
ჟურნალისტი;
დავით ბერძენიშვილი,
ადვოკატი, იურისტი;
გიორგი თევზაძე,
ადამიანის უფლებადამცველი;
მანანა ჯიჯეიშვილი,
იბერიულ-კავკასიური მოძრაობის პრესსამსახურის წევრი;
ვალტერ ოჩიგავა,
ყოფილი პოლიტდევნილი;
გრიგოლ ბოგვერაძე,
მოძრაობა „ძლევაი საკვირველის“ დამფუძნებელი;**

# ჯორჯ ბუშ უფროსმა კისერი მოიტეხა

ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი ჯორჯ ბუშ უფროსი საავადმყოფოში კისრის მოტეხილობით მოხვდა. ამ ფაქტის შესახებ ინფორმაცია სოციალურ ქსელ **“ტვიტერზე”** მისმა პრესმდივანმა ჯიმ მაკგრატმა გაავრცელა. პოლიტიკოსის წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ მიღებული ტრავმა სიცოცხლეს საფრთხეს არ უქმნის.

ჯორჯ ბუშ უფროსმა ტრავმა მაშინ მიიღო, როდესაც საკუთარ სახლში დაეცა. ამჟამად ის პორტლენდის ერთ-ერთ საავადმყოფოში იმყოფება. ექიმები მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას სტაბილურად აფასებენ, თუმცა აღნიშნავენ, რომ გარკვეული დროის მანძილზე მას ორთოპედული სახვევის ტარება მოუწევს.



# კომპანია, რომელიც გენმოდიფიცირებული პროდუქტებით მსოფლიოს წამლავს – *შოკისმომგვრელი შედეგები*



პირველი გენმოდიფიცირებული პროდუქტი, რომელიც მსოფლიოში გაჩნდა, 1994 წელს ამერიკულ ბაზარზე გამოტანილი პომიდორი **“ფლავრ-სავრი”** იყო. საქართველოში პირველი გენმოდიფიცირებული პროდუქტი – კარტოფილი, ორი წლის შემდეგ, 1996 წელს შემოვიდა.

**“მონსანტო”** (**Monsanto**) – ეს არის კომპანია, რომელიც **“მსოფლიოს ყველაზე ბოროტ კომპანიად”** დასახელდა 2013 წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგად. იგი გენმოდიფიცირებული პროდუქტების ერთ-ერთი პირველი მწარმოებელია. **გმო**-ს მოხმარების შოკისმომგვრელი შედეგები, კვლევები, რომელიც ამ ტიპის პროდუქციის დამღუპველ ზემოქმედებაზე მიუთითებს, როგორც ადამიანებზე, ასე ცხოველებზე და კომპანია **Monsanto**, რომელიც მსოფლიოს წამლავს.

შეგახსენებთ, რომ 2015 წლის პირველი ივლისიდან ძალაში შევიდა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი **“სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტების ეტიკეტირების შესახებ”**, რომელიც ფრაქცია **“ქართული ოცნება – მრეწველების”** ინიციატივით მომზადდა.

აღნიშნული კანონის მიხედვით, გენმოდიფიცირებული ორგანიზმების ეტიკეტის მარცხენა ზედა კუთხეში, წრიულ ფორმაში უნდა განთავსდეს წარწერა **“გმო”**, ხოლო გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტის მარცხენა ზედა კუთხეში წრიულ ფორმაში წარწერა **“გმ”**. აღნიშნული წარწერები იმდენად თვალსაჩინო, ადვილად აღქმადი და მკვეთრად გამოსახული უნდა იყოს, რომ მომხმარებელმა მისი ადვილად იდენტიფიცირება შესძლოს.

გენმოდიფიცირებული ინგრედიენტის შემცველი პროდუქტის ეტიკეტირებისას აღნიშნული უნდა იყოს ინგრედიენტის სახელიც.

შესაბამისად, ბიზნესოპერატორები ვალდებულნი ხდებიან, გენმოდიფიცირებული პროდუქტის ბაზარზე განთავსებისას ეტიკეტირების აღნიშნული ნორმები დააკმაყოფილონ.

კანონის მიხედვით, ეტიკეტირების მოთხოვნათა შეუსაბამობის შემთხვევაში, ბიზნესოპერატორი ვალდებული იქნება, შეუსაბამობა აღკვეთოს და სავაჭრო ქსელიდან არაეტიკეტირებული გენმოდიფიცირებული პროდუქტი ამოიღოს. შეუსაბამობის გამოუსწორებლობის შემთხვევაში კი, გენმოდიფიცირებული პროდუქტი განადგურებას დაექვემდებარება.

ეტიკეტირების მოთხოვნების შესრულებაზე დაწესდება სახელმწიფო კონტროლი – ეტიკეტის შეუსაბამობაზე სახელმწიფოს კონტროლს სოფლის მეურნეობის სამინისტრო განახორციელებს, იმპორტისას – ფინანსთა სამინისტრო.

ასევე განისაზღვრა პასუხისმგებლობის საკითხი მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში. კერძოდ, გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისა და გენმოდიფიცირებული პროდუქტების ეტიკეტირების წესის დარღვევა გამოიწვევს ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 5 ათასი ლარის ოდენობით, იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს დაჯარიმებას 10 ათასი ლარის ოდენობით.

# სვეტიცხოვლის ტაძრის „ქვათა ღაღადი“

*„თქვენ გეუბნებით, ესენი რომ გაჩუმდნენ, ქვები იღაღადებენ“*
(ლუკა 20, 40)



***მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში, ეს იქნება ანტიკური თუ შუა საუკუნეების პერიოდის არქიტექტურული ქმნილებები, როგორიცაა: დოჟესის სასახლე ვენეციაში (XIV-XV სს), კაით-ბეის მეჩეთი კაიროში (XV ს), სოფიას ტაძარი კონსტანტინოპოლში თუ წმიდა პეტრეს ტაძარი რომში და ა.შ. უნიკალურ და ფასდაუდებელ ფასეულობებს წარმოადგენენ კაცობრიობისათვის.***

***მაგრამ საქმე გვაქვს სულ სხვა ფენომენალურ ქმნილებასთან, რასაც საქართველო და მცხეთის სვეტიცხოველი ჰქვია!***

***სვეტიცხოველი დამთვალიერებელთათვის უბრალოდ უნიკალურ ნაგებობად რჩება, რომელშიაც უზადოდ შერწყმულია დროისა და სივრცის შეფარდება, სადაც არ იკარგება ადამიანი, როგორც ეს ხდება თვით წმიდა პეტრეს ტაძრის სიდიადეში.***

***სულმნათი იოანე ზოსიმე „ქება და დიდება ქართულისა ენისაი“-ში შეფარვითა და ქარაგმული ჟანრით გვიცხადებს ქართული ენისა და ქართული სულიერების საიდუმლოს.***

***სწორედ, ამ საიდუმლოსა და უფრო მეტის დამტევია სვეტიცხოვლის შიდა და გარე ფასადზე ამოკვეთილი ფრესკათა მნიშვნელობები, რომლებიც იკითხებიან ჩვეულებრივი გენიალურ ქმნილებათა მსგავსად.***

***ამ მხრივ საქართველოს, კერძოდ სვეტიცხოველს დედამიწის ზურგზე ანალოგი არ მოეპოვება.***

***გთავაზობთ თეოლოგისა და მკვლევარის აწ განსვენებული ბატონ მირიან ქართველის (ნუგზარ ლატარია) ნაშრომებიდან ამონარიდს, სადაც მარტივი თვალსაზრისითა და დადასტურებული მტკიცებებით ნაჩვენებია და ახსნილი მცხეთის სვეტიცხოვლის შიდა და გარე ფასადზე ჩაშენებული და ამოტვიფრული რელიგიური საიდუმლო-სასულიერო მნიშვნელობები.***

**მურმან ხუზულავა**

სვეტიცხოველი წარმოადგენს ქვის წიგნს, რომლის ფასადი (ჩრდილ-ო-ეთი) ამეტყველებულია ქართული სამება დამწერლობის, სამება ენისა და სამი რჯულის წიგნის შინაარსის მატარებელი დეტალებით ორნამენტებით, ნახატებით, სიმბოლოებით და კოდური ნიშნებით. ანალოგიურია ტაძრის გამოქვაბული (სამ-მხარეთი) – შიგა კედლები, რომლებიც ბიბლიისა და სახარების ღია და დაფარული ინფორმაციის შინაარს ღაღადებენ. საიდუმლო რელიგიის კანონიკით დადგენილი წესის თანახმად, მე საუბარი მექნება სვეტიცხოველის ქვის წიგნში ჩადებული საიდუმლო ინფორმაციის 40-50% გაღება-განახლებაზე, ხოლო დანარჩენი ინფორმაციის დეტალურ გამოქვეყნებას ან არ გამოქვეყნებას გადაწყვეტს ქართველ ქრისტიანთა სულიერი მისია (გუნდი).

სვეტიცხოველის ეზოს ოთხკუთხედად გარს არტყია ასომთავრული **„ღ“** ფორმის ქონგურებიანი ქვის სქელი კედელი, რომელსაც დასავლეთის კედელზე აქვს დატანებული ეკლესიური სტილის კარი – ფარეხში ცხვრის შემოსასვლელი.

სვეტიცხოველის კარიბჭეს ამშვენებს ორი ხარის თავის და სამებას ქვის კედლის გვირგვინი. ხარის თავები სიმბოლურად აჩვენებენ ქართველის სასულიერო მამების მიერ გიორგიანულ-მეცნიერული განათლების სისტემით მსოფლიოს ხალხთა ცნობიერების ხვნისა და თესვის უზენაეს მისიას (ფარნავაზის მიერ დადგმული



ხარის კულტიც, ქართველ მამათა სულიერ მისიას გულისხმობდა). ამიტომ ბიბლიური ტერმინი **„სახარ-ება“** ნიშნავს სამყაროს საიდუმლოს გასაღებს; ადამიანისა და გარემომცველი უსასრულო სამყაროს სხეულის სისტემის შემსწავლელ საიდუმლო დამწერლობასა და სიბრძნისმეტყველებასაც გულისხმობს.

სვეტიცხოვლის აღმოსავლეთის ფასადის ცენტრში მოთავსებულია წმიდა სამების ფორმულა – მამაკაცის (1=3), შვილი კაცის (1=3) და დედაკაცის (1=3) საბაზისო



ხატის სისტემა. სამების მარჯვნივ და მარცხნივ კი ორი თაღია, რომელიც ამ ხატის შემოქმედ და მის ირგვლივ არსებულ უსასრულო სამყაროს აღნიშნავს. **„თაღი“** არის იგივე ასომთავრული **„ღან“**-ი (ღ) და მხედრული **„ი“** (ინი). მაშასადამე, თაღი გვეუბნება: განათლების ღ-მერთები ი-ბერნი არიანო, ანუ ათვლის ეტალონი ლაზარე განათლების ღმერთიაო (ღ=ი=ათვლის დოგმას). აღმოსავლეთი ფასადის ხუთი თაღის კომბინაცია იძლევა ხუთ ასომთავრულ **„ღ“** (ღანს), ხუთ მხედრულ **„ი“**-ს და ხუთ მხედრულ **„ე“**-ს.

სვეტიცხოვლის აღმოსავლეთი ფასადის ცენტრში, ქვაზე, ამოკვეთილია იოანე წყლით ნათლისმცემლის, იესოსა და დედა ღმრთის სურათი. იოანე წყლით ნათლისმცემლი სიმბოლურად გამოხატავს 2000 წლიან ქრისტიანულ მართლმადიდებლურ რელიგიას (სწავლებას), ხოლო დედა ღმერთი აჩვენებს იესოს ხორციელი სხეულის შემოქმედ დედას და იესოს სულიერ შემოქმედ დედას – მოსეს თორას და წმინდა



წერილებს. იოანე და მარიამი ხელს იშვერენ იესოსაკენ, ანუ ქართველ მართლმადიდებლებს მიუთითებენ, რომ ბიბლიური **„სიცოცხლის ხის“** ნაყოფს იესოს სახარება წარმოადგენს და ქართული სამება-დამწერლობითა და სამება-ენით (სვანური+მეგრული+იბერიული=ქამი+სემი+იაფეთი) ექადაგებაო კაცობრიობას (ისწავლეთ და ასწავლეთო კაცობრიობას). იესოს სახარების საიდუმლო ტექსტის გაღება არის იგივე ადამიანისა და ირგვლივ არსებული უსასრულო სამყაროს ცოცხალი წიგნის შინაარსის საიდუმლოს გაღება, რომელიც ავტომატურად გამოიწვევს მართლმადიდებლური რელიგიის (სწავლების) იოანე წყლით ნათლისმცემლის სულიერი დონიდან, იოანე სულიწმინდით ნათლისმცემლის რანგში გადასვლას. ანუ მსოფლიოში არსებული VI საფეხურის განათლების სისტემის რეორგანიზაციას VII საფეხურში (ქრისტიანული მოძღვრების განათლების სისტემის დასაბამს). კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ მაცხოვარი იესო ქრისტე და ქართული კოდური ენა სულიერი სუბსტანციით ერთი და იგივეა. ამიტომ იესო ქრისტეს სახარება კაცობრიობას ექადაგება ცხებული ქართული კოდური ენით (ქრისტე ექადაგება ქრისტეთი).

სვეტიცხოვლის აღმოსავლეთი ფასადის ცენტრალური სარკმლის მარჯვნივ და მარცხნივ კედელში ჩაშენებულია ორი ქვის ხარის თავი, რომელსაც ზემოდან, ციდნ ჩამოფრენილი ანგელოზები საყვირებით ყურში ჩასძახიან იოანე მოციქულის გამოცხადების საიდუმლო ტექსტის შინაარსს: **„აიღო ანგელოზმა საცეცხლური, აავსო იგი ცეცხლით სამსხვერპლოდან და ჩამოაგდო დედამიწაზე; და იქმნა ქუხილნი და ხმანი, და ელვანი და მიწისძვრა. შვიდი ანგელოზი, რომელთაც შვიდი საყვირი ჰქონდათ, მოემზადა დასაყვირებლად“.** (გამოცხ. 8, 5-6).

როგორც ადრე გითხარით, ხარის თავები სიმბოლურად გამოხატავენ გიორგიანულ მიწის მუშაკობას, ანუ ქართულ სამება–დამწერლობას (ასომთავრულს, ხუცურს და მხედრულ დამწერლობას), ქართულ კოდურ სამება-ენას (სვანურს, მეგრულს და იბერიულს), სამ კლასიკურ რჯულს: ნოეს ეფუთს, მოსეს თორას და იესოს სახარებას. ხოლო ანგელოზი საყვირით განასახიერებს მსოფლიო გიორგიანულ-მეცნიერულ განათლების სისტემას. ღვთაებრივი იოანე მოციქული მცირე აზიელი ურია ებრაელი რომ იყოს ანუ ივრითის რელიგიური სკოლის წარმომადგენელი რომ იყოს, მისი გამოცხადების კოსმიური პერსონაჟები სვეტიცხოვლის აღმოსავლეთ ფასადზე კი არ იქნებოდა გადმოცემული, არამედ იერუსალიმის



სინაგოგას კედლებზე... მაშასადამე, ქართველი მართლმადიდებელი ქრისტიანები, ქართველი იოანე მოციქულის სახარებასა და გამოცხადებას კაცობრიობას აუწყებენ გაზეთის, წიგნის, ტელევიზიისა და რადიოს საყვირების საშუალებით, ანუ კაცობრიობას ამცნობენ ლაზარეს აღდგენას და ადამიანის სულში არსებულ ქრისტეს გამოცხადებას (მე თქვენში ვარ, ღვთის სასუფეველი თქვენშია – სახარება) და ცნობიერი მკვდრეთიდან კაცობრიობის მასიური აღდგინების დასაბამს, რომელიც ქრისტემ წინასწარ განუცხადა თავის მოყვარულებს. ისევ ვიმეორებ, ხარის თავები სიმბოლურად აჩვენებენ ბიბლიური მიწის მუშაკ ნოეს სულიერ და გენეტიკურ შთამომავლობას სასულიერო-საგანმანათლებლო მისიას (გიორგი=მიწის მუშაკი=ქართველი).

სვეტიცხოვლის აღმოსავლეთ ფასადის ღერძის თავზე გვირგვინად განათლების სამება ზის, ანუ ფარშევანგის (ფარ-შავ-ანგი) 12 ფრთიან კუდის ზემოთ გამოსახულია სამი სარკმელი, ორი მომცრო და ერთი დიდი, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს სამება ქართულ დამწერლობას (ასომთავრულს, ხუცურს და მხედრულს), სამება ქართულ



ენას (სვანურს, მეგრულს და იბერიულს) და სამ კლასიკურ რჯულს, ნოეს ეფუთს, მოსეს თორას და იესოს სახარებას. ამ მონუმენტური გვირგვინის მარჯვნივ, ქვაზე, ამოტვიფრულია მზის ლომზე (მიჯლემზე) მჯდომი მაცხოვარი იესო ქრისტე. მაშასადამე, იესო ქრისტე მცირე აზიელი ურია ებრაელი, ანუ ივრითის რელიგიური სკოლის წარმომადგენელი რომ ყოფილიყო, ქართული სამება-დამწერლობა და სამება-ენა (სვანური+მებრული+იბერიული=ქამი+სეფი+იაფეთი) ქრისტე ცხებულის ხარისხის მქონე და მისი ღვთაებრივი სახარების მქადაგებელი იქნებოდა? ბუნებრივია, თუ იესო მცირე აზიელი ურია ებრაელია, მაშინ ივრითის დამწერლობა, ენა და ურია ებრაელთა სამღვდლოება იქნებოდა ქრისტე ცხებული და ივრითის ენაზე ექადაგებოდა სახარება კაცობრიობას. თეოლოგებო და მეცნიერებო, ზამთარში რამდენიც უნდა იქადაგო – გაზაფხულის მოსვლა ჩვენზეა დამოკიდებულიო, გაზაფხულიც და ქრისტეს მკვდრეთიდან აღდგომაც თქვენი ნებართვის გარეშე მოვა (მოხდება). ანალოგიურია ლაზარეს აღდგენა და ქართველ ქრისტიანთა სულიერი მისიაც.

სვეტიცხოვლის დასავლეთის ფასადი წარმოადგენს სამიარუსიანი საფეხურის სისტემას, ანუ სამნავიანი კოსმიური ოკეანის ხომალდს, რომლის მთავარ ანძად გვევლინება თექვსმეტსარკმლიანი სვე-ტი ჯვრის გვირგვინით. დასავლეთის ფასადის პირველი ნავი სიმბოლურად განასახიერებს ნოეს პირველ რჯულს და პირველ ქართულ (ლაზურ) სასულიეროსახელმწიფო ენას – ქამს (სვანურს). პირველი ნავის (ქამი=სვანური) ფასადზე დატანებულია ქართული ასომთავრული „ღ“ (ღანის) და მხედრული „ი“ (ინის) ფორმის კარი (ყოველი სახის ფარისა და საქონლის ჯოგის შესასვლელი ნოეს კიდობანში). ამ კარის საიდუმლო რელიგიის ენაზე ქრისტეს სულიერ სამყაროში შესასვლელი ფარეხის კარი ეწოდება. ამიტომ გვასწავლის ღვთაებრივი სახარება: **„ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: „ვინც კარიდან არ შედის ცხვრის ფარეხში და სხვა გზით გადადის, ქურდი და ავაზაკია იგი. ვინც კარიდან შედის, ცხვრის მწყემსია იგი“.** (იოანე 10, 1-2). მაშასადამე, ქრისტეს კვართის შინაგან, დაფარულ სამყაროში (გამოქვაბულში), შესასვლელი ერთადერთი კარია (გზაა) ქართული ენა ლაზარე.

სვეტიცხოვლის პირველი ნავის სახურავის კეხზე დგას პატარა ეკლესიის მაკეტი, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს პირველ სასულიერო ენას – ქამს (სვანურს) და ნოეს პირველ კლასიკურ რჯულს. პირველი ნავის (სამხრეთის კედელზე) გვერდიდან დატანებული პატარა კარი სიმბოლურად აჩვენებს საიდუმლო რელიგიაში შესასვლელ ერთადერთ სარკმელს, საიდანაც კაცობრიობას მიეცა (გაატანეს) მეცნიერული განათლების სისტემა, ამიტომ გვეუბნება ღვთაებრივი ბიბლია: **„სასინათლო გაუკეთე კიდობანს, ზემოდან ერთი წყრთაზე დაუტანე; კარი გვერდიდან შეაბი კიდობანს; ქვედა მეორე და მესამე სართული გაუკეთე“.** (დაბ. 6,14).

სვეტიცხოვლის დასავლეთის ფასადის მეორე ნავი სიმბოლურად განასახიერებს მოსეს მეორე რჯულს და მეორე ქართულ (ლაზურ) სასულიერო-სახელმწიფო ენას – სემს (მეგრულს). მეორე ნავის (სემი=მეგრული) ფასადის ცენტრში დატანებულია



ერთი სასინათლო სარკმელი, რომელიც სიმბოლურად აჩვენებს, რომ მეგრული ენა ევოლუცირებულია (ამონათებულია) სვანურიდან, ხოლო მეორე რჯული – მოსეს თორა, ამოყვანილია ნოეს პირველი რჯულის წარღვნის წყლიდან. დასავლეთის ფასადის



მეორე ნავის მარცხენა კედელზე დატანებულია მოჩუქურთმებული დიდი ჯვარი, რომელიც სიმბოლურად აჩვენებს სვანური ენის (ქამის) სასულიერო-სახელმწიფო მისიის დასასრულსა და ქრისტეშობამდე 5604 წ. სვეტიცხოვლის მეორე ნვის სახურავის კეხზე დგას პატარა ეკლესიის მაკეტი, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს მეორე სასულიერო ენას – სემს (მეგრულს) და მოსეს მეორე კლასიკურ რჯულს, რომელიც დაიწერა მამა აბრამის მოღვაწეობიდან 430 წლის შემდეგ.

*(გაგრძელება იქნება)*

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

# ეს გზა ევროპამდე არ მიგვიყვანს



გასული კვირის მთავარი თემა სამი ქართული კლუბის უიღბლო ევროოდისეა იყო. სამივე მათგანი ნაადრევად დაეთხოვა ევროპალიგას და ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ის გზა, რომელსაც ქართული ფეხბურთი ადგას, ევროპამდე არ მიდის...

### სახე ჯერაც ცოცხალი ქართული ფეხბურთისა...

ერთი ქართული კინოშედევრის უკვდავი ფრაზა რომ მოვიშველიოთ და ცოტა გადავაკეთოთ, დაახლოებით ასე გამოგვივა – რა საჭიროა გზა, თუ ის ევროპულ ფეხბურთთან არ მიგვიყვანს?

ყველა პოსტსაბჭოთა ევროპულმა რესპუბლიკამ ერთი გუნდი მაინც გაიყვანა ევროპალიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე. საქართველომ რამდენი გაიყვანა? – არც ერთი!

არ აქვს მნიშვნელობა, ვისკენაა შენი სიმპათია არაერთ ბანაკად დაყოფილ ქართულ ფეხბურთში. დასაწერი პირდაპირ უნდა დაიწეროს – ეს არის სირცხვილი, ძალიან დიდი სირცხვილი და ჩვენს ფეხბურთში აღარ უნდა იყოს იმ ხალხის ადგილი, ვინც ის ამ დღემდე მიიყვანა.

მართლაც, ეს არ არის ერთი კონკრეტული მწვრთნელის, ერთი გუნდის, ერთი პრეზიდენტის თუ ფეხბურთელების ბრალი. ეს არის მთლიანი სისტემის მარცხი. მათ შორის, ჩვენი მარცხიც, რადგან თავის დროზე ბევრი კი ვწერეთ, მაგრამ თავიდან მაინც ვერ ავირიდეთ ის **"თექვსმეტობანა"**, რომელსაც ასე ვებრძოდით.

ცნობილია: წარმატებით ვერაფრით დაგვირგვინდება საქმე, რომელიც სამართლიან საფუძველზე არ დგას. როცა რეგლამენტი ვიღაცამ თავის ხუშტურებს მოარგო, როცა 12 გუნდისთვის საკმარისი ფეხბურთელები არ გვყავდა და უცებ 16 კლუბი მოვინდომეთ, როცა ახალი ველოსიპედის გამოგონება დავიწყეთ მაშინ, როცა ძველის ტარება არ გვქონდა ნასწავლი, ჩვენი საქმე მაშინ წახდა და წავიდა.

რით უნდა შევეჯიბროთ საშუალო ან საშუალოზე დაბალ ევროპულ კლუბებს? მაგალითად, **"გაბალას"**, რომელსაც აქვს ოთხი დიდებული სავარჯიშო მოედანი, მაგარი ბიუჯეტი და ჰყავს გამოცდილი ფეხბურთელები უკრაინიდან, ბრაზილიიდან თუ რუმინეთიდან?

პასუხი მარტივია: სახელმწიფოს მიერ შეგულიანებული კერძო მფლობელების მიერ დაფინანსებული კლუბებით.

ფაქტი ჯიუტია – სახელმწიფო იმ ფულს წყალში ყრის, რომლითაც ექვსთვიან გუნდებს აფინანსებს. გვრჩება განცდა, რომ ამ პროექტების მიზანია, ექვსი თვით მაინც დასაქმდეს კონკრეტულ რაიონსა თუ ქალაქში დაახლოებით ასამდე კაცი.

ამის საწინააღმდეგო ვის რა უნდა ჰქონდეს, მაგრამ სათქმელია, რომ ის ხალხი უფრო მეტს პროგრესზე კი არა, იმაზე ფიქრობს, როგორ გადააგოროს ის ექვსი თვე, რომელიც მას გამოუყვეს.

არადა, საფეხბურთო კლუბის სწორ გზაზე დაყენება ძალიან რთული საქმეა. ფეხბურთი მხოლოდ მინდორზე არ იწყება. ის იწყება კარგად მოვლილი აკადემიით, კიდევ უკეთესი სტადიონით, სწორი მენეჯმენტით და, რაც მთავარია, სუფთა თამაშით, რომელიც დღეს საქართველოში აღარ არის სუფთა და ხშირად ისეთ რამეებს გაიგონებთ, თმები ყალყზე დაგიდგებათ!..

ბოლოს და ბოლოს, რაზეა ლაპარაკი, როცა ჩვენი პირველობის სხვადასხვა ლიგაში დაახლოებით ხუთამდე კლუბი... ერთი მფარველის ფრთებქვეშაა. სხვა თემაა, რა ხდება პირველ და რეგიონულ ლიგებში. ჩემი აზრია და არ არის აუცილებელი, ყველ

ამ გაიზიაროს – ამ ფედერაციის ერთ-ერთ მთავარ ხინჯად და დანაშაულად ის მიგვაჩნია, რაც ხდება საქართველოს ჩემპიონატის დაბალ ლიგებში.

საერთოდ, ასეა: ფეხბურთელი პირველ ლიგაში უნდა ოსტატდებოდეს და მერე მომზადებული უნდა გადადიოდეს უმაღლესში. ახლა რა ხდება? რა უნდა ისწავლოს პირველ ლიგაში ახალგაზრდა ფეხბურთელმა?!.

ჯერ მინდვრებია ისეთი, თავმოყვარე საქონელი არ იკადრებს შესვლას და მეორეც – ათასგვარი **"ჩალიჩი"**, აღებმიცემობა, მამაძაღლობა და უბედურება, ფეხბურთთან საერთო რომ არაფერი აქვს.

ცოდვა გამხელილი სჯობს: ამათი ნაკლებობა არც უმაღლეს ლიგაშია, მაგრამ პირველ ლიგაში მთლად საშინელება ხდება და ამაზე წაყრუება უკვე აღარ შეიძლება.

მოდით, ვაღიაროთ: ევროპალიგამ საკადრისი ადგილი მიგვიჩინა და არც ისაა საკვირველი, ფიფას რეიტინგში 153-ე ადგილი რომ გვიჭირავს – პირიქით, კიდევ ერთხელ მოგვიტანეს სარკე, რომელშიც უნდა ჩავიხედოთ, ამ სარკეს კიდევ ერთხელ ვარიდებთ თვალს, რადგან ნანახის გვეშინია.

არადა, ეს ჩვენი სახეა – სახე მომაკვდავი, მაგრამ ჯერაც ცოცხალი ქართული ფეხბურთისა. და ჩვენ მას ვერაფრით ვუშველით, თუ ამ სახეს კარგად არ დავაკვირდებით და არ ვუაქიმებთ.

გვეყო ილუზიებში ცხოვრება. ვიპოვოთ ის გზა, რომელიც **"ტაძრამდე"**, ანუ ნაღდ ევროპულ ფეხბურთამდე მიგვიყვანს!

### ჩვენი იმედის მეშახტე

17 წლის ქართველი შემტევი გიორგი არაბიძე დონეცკის **"შახტარში"** გადავიდა. ამ ტრანსფერს გამოხმაურება არაერთგვაროვანი ჰქონდა. კომენტარებს გავეცანი და ზოგმა ისიც დაწერა, **"შახტარში"** რამ წაიყვანა, იქ რომელ ქართველს რისთვის მიუღწევიაო?

ბოდიში, ბატონებო, მაგრამ სიმართლეს არ ეღალატება – იმ ქვეყანაში, რომელიც ევროპიდან მხოლოდ ანდორას და გიბრალტარს უსწრებს, აღმოსავლეთ ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბს არ იწუნებენ.

ბოლო დროს ქართველთაგან დონეცკურ კლუბში დამკვიდრებას დავით თარგამაძე და თორნიკე ოქრიაშვილი ცდილობდნენ. სამწუხაროდ, ვერ მოახერხეს, თუმცა ამაში მირჩა ლუჩესკუს ან რინატ ახმეტოვის შოვინიზმის დადანაშაულება მართებული არ იქნება. ორივე ამ ფეხბურთელს სხვადასხვა კლუბსა და სხვადასხვა შემთხვევაში ჰქონდა გარკვეული პრობლემები და **"შახტარს"** ასე ხელაღებით ვერ გავამტყუნებთ.

რაც შეეხება სათამაშო სტილს, დონეცკელები ტექნიკურ ფეხბურთს ანიჭებენ უპირატესობას. მართალია, გუნდი რამდენიმე ბრაზილიელმა დატოვა, მაგრამ ისინი იქ მაინც საკმარისი რაოდენობით დარჩნენ.

არაბიძე კარგი ბიჭია. მაგრად ფლობს ბურთს და მეტოქის მცველებს აწიოკებს. მან უნდა ისწავლოს პასი და გუნდური ფეხბურთი, ლუჩესკუ კი კარგი მასწავლებელია.

### ბილეთები გავყიდეთ!

როგორც იქნა, დასრულდა ევროპის სუპერთასზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა. დიდი, დიდზე დიდი ამბავი იყო ვაკეში – რიგები, ცოდვის ტრიალი, სამდღიანი ღამისთევა და ბევრი ბედნიერი თუ უბედური სახე.

ბოლოს და ბოლოს, მოვიხადეთ ეს სახადი და ბილეთებიც გავყიდეთ (ბოროტი ენები ამბობენ, გადავყიდეთ კიდეცო!). იქნებ ახლა მაინც მოვიცალოთ ჩვენი ფეხბურთისთვის, რომელიც სულს ღაფავს.

კარგია **"სევილია"**, კიდევ უკეთესი – **"ბარსელონა"**, მაგრამ მოდი, ერთად შევძახოთ – **საქართველო, უპირველეს ყოვლისა!**

## გამოვიდა სერგეი კრემლიოვის წიგნ "ლავრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომეულის გამოცემა




უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შეძენა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374.

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ხელშეწყობით, ქართულ ენაზე, გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველიჩკოს წიგნი "კავკასია", რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალაღანია და ნუგზარ გოგუა.

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე), ან, ყოველდღე, მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374

## იუმორი

თვითმფრინავში პილოტთან შეშინებული სტიუარდესა შედის:

– რა ხდება, რა ხმაურია სალონში? – ეკითხება პილოტი.

– საშინელება!.. ტროტილით სავსე ზურგჩანთიანი ტერორისტი პარაშუტებით ვაჭრობს!..

* * *

– იცი, ევრაზიაში კარტოფილი პეტრე პირველს შემოუტანია!

– მერე, ცოტა მეტი ვერ შემოიტანა, იმ დალოცვილმა, ცეცხლის ფასი რომ ადევს?!

* * *

სომეხი გასაახალგაზრდავებელი ოპერაციის გასაკეთებლად სან-ფრანცისკოში მიფრინავს.

– უკან დასაბრუნებელი ბილეთი რატომ არ აიღეთ? – ეკითხება სასტუმროს ადმინისტრატორი.

– არ ვიცი, ოპერაცია როგორ ჩაივლის. შესაძლოა, აქეთობისას საბავშვო ბილეთი დამჭირდეს.


**სახალხო მკურნალმა მოუგო ომი ჯერ კიდევ მძლავრ ნაციონალურ ფარმაკომაფიას, რომელიც მის დაძირვას ცდილობდა და კვლავ ჩადგა ხალხის ჯანმრთელობის სამსახურში**




დომენტი ბაბნიძის *მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, ველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.*

*მკურნალის კოორდინატებია:* თელავი, სოფელი შალაური, ბაბნიძე ბიჭიკო (დომენტი). ტელ: 893-22-66-51

თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – შაბათ-კვირის გარდა, 10-დან 16 საათამდე.




**მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან**



ISSN 1987-8966 ilori

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 სარეგ. №01018002930 234-32-95

ორი თაბახის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაეგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27
სარედაქციო საბჭო: ზაურ გახარია, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, ზვიად მირბატია, გივი სომხიშვილი, ვიქტორ ცაავა, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge